ახალი

საქართველო

წელიწადი პირველი | სამშაბათი, 8 ივლისი 1919 წ. № 3 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში), 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამარ-გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარი მამა ვიქტორ იოსების ძე, დედა ელისაბედი ზურაბის ასული დები: ნინა და ქეთო, ძმები; პეტა და იოსები, ბიძაშვილი ალექსანდრე პავლეს ძე კვიჟინაძეები; მამიდაშვილები: ლადო და ტარასი ცერცვაძეები; სიძე ალექსი და დეიდა ევა ჩალაძეები; ბიძები: კოლა და ვასილ მინდიაშვილები ამით ვაუწყებთ ნათესავებს და მეგობრებს ჩვენი ძვირფასი დაუვიწყარი 16 წლის ქალის

მარუსა ვიქტორის ასულის კვიჟინაძის

უდროოდ დაკარგვას. (გარდაიცვალა 5 მკათათვეს, 12 დღის ავადმყოფობის შემდეგ ტვინის ანთებით) დაკრძალვა მოხდება მკათათვის 8 სამშაბათს. გამოასვენებენ დილის 9 ნახ. საათზე ლორის-მელიქოვის ქუჩა № 20 ქაშვეთის ეკლესიაში დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

(1—2508—1)

საუკეთესო ღირსების ლუდი

ლუდი

„თბილისის ლუდის გამომცემელი ს-ბა“

იყიდება ლუდი

ინგლისურ საუკეთესო მასალისგან

დამზადებული ნოე სიხარულიძის ახალ ქარხნებში (ყოფ. ვეტცელის) დიდი მთავრის ქ. № 68. ტელეფონი № 9—47

ლუდი

2—2560—1

ყურადღება!

მოიკითხეთ

საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

ძმ. კაიშაურებისა

მისამართი: ელისაბედის ქ., 117, ტელ. 9 77.

ყურადღება!

12—244—9

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა

მიწის საკითხი საქართველოში

ალ. ასათიანისა

თ. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთრებითი; 3. სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მასალები, სახაზინო, საუფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი; 7. მეურნეობის პირობები; 8. სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა; 9; მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11. რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა; 12. ბოლოსიტყვაობა. წიგნის მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში.

10—უ—8

იყიდება

სახლები ძმ. ლომაძეებისა ქ. ქუთაისში,

ორპირის ქუჩაზე, № 54, სხვა და სხვა შენობებით, 1000 ოთხ-კუთხი საჟენამდე მიწით. ფასის გაგება შეიძლება: თბილისში, მეხრანის ქ. № 4 გიორგი ლომაძესთან.

1—2505—1

ქ. ქუთაისში

ქირავდება სახლი, რომელშიაც იმყოფება სასტუმრო „გრანდ ოტელი“. საქირო პირობების გაგება შეიძლება ქ. ხონში დიმიტრი იგანგს ძე ჩხიკვაშვილთან.

2—2500—2

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ სამშაბათს მკათათვის 15-ს გაიმართება

საჯაროდ ვაჭრობა

მალაზიის ქირით გაცემაზე (ერივნის მოედანზე). ვაჭრობა 12-ს საათზე დაიწყება. ყოველგვარი ცნობები მიიღება მე 4-ე საიჯარო განყოფილებაში თბ. თვითმართველობაში.

(3—133—1)

სომეხთა ეროვნული საბჭო

ოც ამ თვეს დანიშნულია საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები და არჩევნებისთვის კიდეც დაიწყო მზადება.

დღეს სომხებს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში არც ერთი დეპუტატი არ ჰყავთ მხოლოდ გულუბრყვილოებს ჰგონიათ, სომხები ისე შეავიწროვა ქვეშევრდომობის საკითხმა, რომ დაშნაკელებმა ვერ შეჰკრიბეს საკმაო ხმა, რამდენიმე დეპუტატის გასაყვანათ დამფუძნებელ კრებაში.

თუ მაინც ისე მოხდა, რომ დამფუძნებელ კრებაში არ მოჰხვდენ სომხები, ეს მათი ჩუმი ბოიკოტის ბრალია, რომელსაც დაშნაკელები აწარმოებდენ მაშინდელ არჩევნებში.

რასაკვირველია არც ერთ სომეხს არ მიუცია ხმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიისთვის, და თუ იქ მაინც სხვდან მენშევიკების ფირმით ორიოდე მანეკენი ეს მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკების სიმულიაცია და მეტი არაფერი.

უფრო აშკარა ბოიკოტის გზას მაშინ ოსები დაადგნენ—ასევე არ შეიძლება ორიოდე ოსი მენშევიკის დამფუძნებელ კრებაში ყოფნა, რომ რამეს ჰნიშნავდეს სამაგიეროთ ოსებმა მოინდომეს საკუთარი დამფუძნებელი კრების მოწვევა, და თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი მთავრობის ინდიფერენტიზმს. გასაკვირია ამდენ ხანს რათ ვერ მოახერხეს ეს საქმე!.

თუ ოსები კიდევ იცდიან ეს იმიტომ, რომ გორში სდგას საკმაო რიცხვი ქართველი ჯარისა და ამის გარდა ოსები უფრო ანგარიშს უწევენ მათ გარშემო შემოკრებილ ქართველ ხალხის შიშს, თორემ ჯავის ხეობა დღემდისაც ასაფეთქებლათ გამზადებული ყუმბარების სარდაფია, და თუ გარემოებამ ნება მისცათ აფეთქებასაც არ დააყოვნებს.

სომხებიც შეუდგენ თავის სიკუთარ დამფუძნებელ კრების მოწვევას. ჯერ არჩევნები ჩუმათ მიდის და აჟიოტაჟი არ ეტყობა, მაგრამ ვინც დაშნაკელების ბუნებას იცნობს ის მიხვდება, რომ ეს მხოლოდ მზხანათური ხერხია და არჩევნების გათავების შემდეგ დაშნაკელების საყვირები ისე აყვირდებიან, რომ ახალი იერიქონი—თბილისი კი არა ევროპაც დაინგრეს.

თუ მოვიგონებთ პრეცენდენტებს, თუ მოვიგონებთ როგორ აწყობდა სომხების ეროვნული საბჭო შარშან დეკემბერში სომხების მობილიზაციას, როგორ აფეთქებდენ დაშნაკელები რკინის გზის ხიდებს შმაგაილოვთან ერთად და რომ, აგრეთვე არ დაუტოვებიათ თბილისშიც არც ერთი ისეთი დაწესებულება, რომ ყუმბარები არ მოეწყოთ ქვევით აშკარა გახდება, რომ სომხები ყველაზე ნაკლები ლოიალურათ განწყობილი ელემენტია და ყოველ ღონეს ღონებენ, რომ ჩვენი რესპუბლიკა დაანგრიონ...

ეს ყაჩაღური და ზინვორული მეთოდები ბრძოლისა ოსმალეთიდან ჩამოიტანეს სომხებმა და სისტემათ გაიხადეს—ასე რომ ეს მათი ბუნებაა კიდეც და ვერც ვერასდროს მოიშლიან.

ან და რატომ უნდა მოიშალონ, როცა ყოველთვის და ყველაფერი დაუსჯელათ გადის, შემდეგში მოგებული რჩებიან.

როცა სომხების კადნიერება საზღვარს გადასცილდება ჩვენებური დაშნაკელები—მენშევიკები—წაიკიდებიან, ერთმანეთს აგინებენ—მაგრამ მალე მენშევიკების შედარებით ჩვილი გული დაყუჩდება და დაშნაკელები თავისას გაიტანენ.

ვის არ ახსოვს რამდენი საბრალმდებლო ოქმი დაუწერია მენშევიკების პრესას სომხეთის ეროვნულ საბჭოზე.

დღეს თავის გაზეთის ფურცლებზე მენშევიკები ეწევიან სომხებისთვის საარჩევნო კამპანიას და რეკლამას უკეთებენ ავშტროვებს და დანდუროვებს.

გულუბრყვილო მენშევიკებს ჰგონიათ, რომ სომხის სოციალდემოკრატების სია № 3, თუნდა ერთ ხმას მიიღებს—სიაში გამოცხადებული სომხებიც დაშნაკელებს მისცემენ ხმებს.

მენშევიკები ასევე აპირებდენ თავიანთ პროპაგანდისტების საშუალებით გავლენა მოეხდინათ ოსებზე—მაგრამ ვიცით როგორ დასრულდა ეს ამბავი...

სომხები, ყოველ შემთხვევაში არ ჩამორჩებიან ოსებს და მათი მოტყუილება და გადაბირება უფრო ძნელია.

ყოველი სხვა პარტია, რომელსაც აქვს შეგნება თავის ერის ინტერესის სხვა ნაირათ მოეპყრობოდა ამ საკითხს და არც თავისთავს და არც თავის ხალხს არ მოატყუებდა იმ იმედით, რომ როდისმე სომხების დემოკრატია იქნება, ან ქართველებთან სოლიდარობას გამოიჩენს.

სომხები ახალ ციტადელს აშენებენ. მენშევიკების ჰკუა მახვილი ულიხები ტყუილათ აპირებენ ამ ციხეში შეპარვას—დაშნაკელები კლასიკებიც არიან და ოინბაზობის ფავორებიც...

მალე დაიწყებს მოღვაწეობას სომხების დამფუძნებელი კრება—და ჩვენ ვნახავთ, როგორ ალაპარაკდებიან მენშევიკები მაშინ...

ამიერ-კავკასიის კონფერენციისათვის

სომხეთის მთავრობის განცხადების თანახმად, ამ მოკლე ხანში უნდა განახლდეს ამ ერთის თვის წინად შეწყვეტილი სხდომები ამიერ-კავკასიის კონფერენციისა.

ამ კონფერენციის მუშაობა შესწყდა მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცაზედ გაიშალენ საშიში ღრუბლები მტრის შემოსევისა და ამიერ კავკასიის ერნი უნდა მინდობილიყვნენ საკუთარ ძალებს და ინიციატივას საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ასეთ დროს, განსაკუთრებით იყო საჭირო და აუცილებელი სამივე რესპუბლიკის ერთსულოვანი და შეთანხმებული მოქმედება, რადგან მტრის მახვილი, თანაბარი სიმძაფრით იყო ამართული ყოველი მათთაგანის წინაღმდეგ.

და სწორედ ამ დროს გამოვიდა საერთო წყობიდან სომხეთის რესპუბლიკა და განზედ გადგა, რომ სეირის მაცქერალი ყოფილიყო თავის მეზობელ ერთა სასიკვდილო სასიცოცხლო ბრძოლაში.

სომხეთის მუხანათურ მოქცევას არავინ არ გაუკვირვებია მაშინ, ქართველ მენშევიკების გარდა, რომელთაც ყოველთვის ყველაფერი ანცვიფრებს. და რომელნიც ყოველთვის ყველაფერს უკანასკნელათ იგებენ.

სომხეთის მოქცევა მოსალოდნელ და წინასწარ-წარმოსადგენი იყო, რადგან ამ ხალხის ისტორიული ბუნება იყო [illegible] და შეხლაზედ აგება თავისი კეთილდღეობისა.

საქართველოს განსაკუთრებით, მრავალი შემთხვევა ჰქონია დარწმუნებულიყო და ეცნო თავისი მეზობელი ერის ბუნების ძირითადი თვისებანი და მუდმივ თავდარიგში ყოფილიყო, რომ სომხეთს მოულოდნელ მდგომარეობაში ან ჩავეყენებიეთ.

სამწუხაროთ, ჩვენ არასოდეს არ გვქონია ამ თადარიგის კულტურა და ჩვენი მართველი პარტია, ხომ ამ შემთხვევაში, კურიოზულად თვალ-ახვეული.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის და მის მთავრობის მუდმივი ორიენტაცია იყო სომხის ერის დემოკრატიაზედ და მაზედ დამყარებულ იმედებით ჰქმნიდა იგი თავის საგარეო პოლიტიკას სომხეთის სახელმწიფოსთანაც.

სინამდვილეს, ხშირად მოუხრია ჩვენი მართველი პარტიის პოლიტიკა სულ სხვა მიმდინარეობით და ცხოვრების შეუდრეკელ კანონებს თავისი გაუტანიათ, მაგრამ წარსულის შეცდომებიც ხშირად მისცემიან დავიწყებას.

ჯერ ერთი თვეც კი არ გასულა მას შემდეგ რაც სომხეთის პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა დასტოვეს ამიერ-კავკასიის კონფერენცია და გარდამწყვეტ მომენტში განზედ გადგნენ მეზობელ ერთა თავდაცვაში დახმარებისაგან, რომ საქართველოს მართველი წრეები უკვე სიხარულით ცას სწვდებიან იმ წინადადებისაგან, რომელიც სომხეთის მთავრობამ წარმოადგინა კონფერენციის სხდომების განახლებისათვის!

ერთ-ერთ მეთაურში ჩვენ უკვე დავაფასეთ ამ წინადადების პოლიტიკური ღირებულება და თუ უბრუნდებით მას დღეს, მისთვის რომ სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ნათელი მეტყველებით გამოირკვა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება.

სომხეთის პარლამენტის ეხლა ხან დასრულებულ არჩევნებში სავსებით გამოიხატა ამ ერის პოლიტიკური ფიზიონომია:

197,577 ამომრჩეველში, დაშნაკცაკანების მართველ პარტიამ 174,456 ხმა მიიღო, რაც თითქმის 95 პრ. უდრის და ამ არჩევნებით, ხსენებულმა პარტიამ მიიღო სრული ნდობა სომხის ერისაც და მისი დემოკრატიისაც, იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც იგი აწარმოებდა აქამდე და უნდა ვიგულისხმოთ, რომ აწარმოებს მომავალშიაც.

ამ გარემოებამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ სამუდამოთ უნდა მოსპოს ის ილლიუზიები, რომელზედაც ამყარებდა თავის პოლიტიკას საქართველოს სოციალ-დემოკრატია და ამ ორ სახელმწიფოთა დამოკიდებულებამ უნდა მიიღოს ის გარკვეული სახე, რომელიც, უზრუნველჰყოფს ჩვენს ინტერესებს ყოველი მოულოდნელ ომისაგან.

ამიერ-კავკასიის კონფერენციამ, რომლის წინაშე დასმულა დღეს დიდი მნიშვნელობის საკითხები, უნდა სავსებით დააფასოს სომხეთის მთავრობის პოზიციაც წარსულში და მასთან დამოკიდებულება მომავლისათვისაც.

ამაზე შემდეგ.

საფრანგეთი და გერმანია

ევროპის სახელმწიფოთა მრავალ საუკუნებრივ მსვლელობაში, იშვიათია ინტერესთა ისეთი წინააღმდეგობა ორ სახელმწიფოთა შორის, როგორსაც აქვს ადგილი გერმანიასა და საფრანგეთს შორის.

ახლო წარსულიდან ვიცით თუ როგორი ინტერესთა კოლლიზია სუფევდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, მაგრამ დროთა ვითარებამ შესაძლებლად გახადა ურთიერთ ინტერესების არა თუ დაახლოვება, არამედ მათი ვიწრო კავშირიც.

ასეთი პესპექტივები ჩანასახშიც არ მოიპოვება საფრანგეთსა და გერმანეთს შორის. ვერსალის ზავმა და მისმა გამოხატულმა, ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ამ ორ სახელმწიფოთა დაახლოვებაზე ლაპარაკიც მეტია.

ომის წინა ეპოქასაც რომ გვერდი აუაროთ, თვით ამ საშინელ საერთაშორისო ომის პროცესსი და მისი შედეგებიც ნათლად მოწმობენ იმას, რომ თუ ომამდე საფრანგეთი და გერმანია კიდევ გამონახავდენ საერთო ენას, დღეს ამის შესაძლებლობა სრულიად გაქარწყლებულია.

მათ შორის მუდამ ამართული იქნება ურთიერთის მიერ საშინელი განადგურებისა და ეროვნული სიკვდილის აჩრდილი.

საკმარისია ღრმად ჩაუკვირდეთ ზავის მკაცრსა და შეუბრალებელ პირობებს, რომ ამ აზრის ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ შეგვეპაროს.

საეჭვო არ არის, რომ კლემანსოს მიერ გერმანელებისადმი წარდგენილ მკაცრ მოთხოვნილებათ შესაძლოა თავისი გამართლება ჰქონდეს საფრანგეთის მახლოს ისტორიაში:

კლემანსომ, მსოფლიო მოქალაქე ვუდრო ვილსონს დიდი გონებრივი და ზნეობრივი ენერგია შეალია, იმისათვის, რომ დაეჯერებინა დაეთანხმებინა იგი საფრანგეთის გერმანიისადმი წარდგენილ უმკაცრეს პირობებზე: ვილსონი მას ებრძოდა ყოველგვარის არგუმენტებით, მაგრამ საშინელი სურათების მხილველმა რაც გარდაიშალა ვილსონის თვალწინ ბრძოლის ველის დათვალიერების დროს, სავსებით დაუკარგა ყოველგვარი ღირებულება ვილსონის მაღალ არგუმენტებს და იგი იძულებული შეიქნა ფარხმალი დაეყარა ფაქტების წინაშე. ფაქტმა დაჩრდილა ილიუზია და ვილსონი სრულის სულიერის და ზნეობრივის სიმშვიდით, შეუშფოთველის სინდისით დასთანხმდა გავერანებულ საფრანგეთის პირობებისათვის დასტური დაეცა.

ეს ფაქტი აღშფოთებას იწვევს რევოლუციის ცეცხლით ანთებულ სახელმწიფოებში და ერებში, რაც ფსიხოლოგიურად ადვილი გასაგებია, მაგრამ ამ რევოლუციურ ქვეყნებს ერთობ მეტად ადუღებული გონება და ნორმას გადამდგარ გრძნობათა გროვა ასულდგმულებთ, რომ ობიექტიურად, მიუფერებლად და ცივად, კულტურულად შესძლონ ფაქტების ანალიზი.

ჩვენ ყოველთვის მოკლებული ვიყავით და ვართ ტენდენციურ სიმპატიებს ამა თუ იმ მსოფლიო კოალიციისადმი, რადგან ვიცით, რომ ყოველი გარეშე ძალა იმდენად დააფასებს ჩვენს სწრაფვას დამოუკიდებლობისადმი, რამდენადაც ეს მათი ინტერესების შემლახველი არ იქნება. ასეთია სინამდვილის ლოღიკა და მლიქვნელობაცა და ორპირული კუდის ქნევაც ისევ უღირსთათვის დაგვილოცნია.

ამგვარი ტენდენციები მიზანს არ აღწევენ და ყოველთვის ამჟღავნებენ ეროვნული თავმოყვარეობის უქონლობას.

მაგრამ მომენტის ობიექტიური მიმოხილვა გვავალებს ვსთქვათ, რომ საფრანგეთის ოდენი ტრაღედია არც ერთ სახელმწიფოს არ განუცდია ამ საზიზღარი ომის დროს.

ყველანი, შედარებით ნაკლებად დაზარალდენ ვიდრე საფრანგეთი.

ომის კოცონმა, მართალია, დიდი მატერიალური, ფიზიკური და მორალური ღირებულება შთანთქა როგორც ინგლისის, ამერიკისა და იტალიის, ისე სხვა მოკავშირეებისაც. იმავე ომმა და შემდეგ რევოლიუციამ, მართალია, სიკვდილის აგონიამდე მიიყვანა ჯერ რუსეთი და შემდეგ გერმანია და ავსტრია-ჰუნგრეთი, მაგრამ არც ერთსა და არც მეორე კატეგორიას იმდენი მსხვერპლი არ გაუღია, რამდენიც გაიღო ფრანგის ერმა.

ინგლისი და ამერიკა ერთის ხელის მოქნევით აინაზღაურებენ ზარალს; იტალია გაძლიერდა კიდეც წინანდელთან შედარებით; გერმანია ძლიერია თავისი ტეხნიკით, საღი ეროვნული სისხლით, უმაგალითო ქიმიითა და უმაღლეს კულტურით და ისიც შესძლებს მალამო დაადვას დაავადებულ ორგანიზმს, [illegible] როგორც ოსმალეთისა და რუსეთის, ეროვნულ სახელმწიფოებად დანაწილებით დაგვირგვინდება; ველიკორუსეთი, როგორი ძალთა განწყობილებაც არ უნდა დამყარდეს მის გარეშე, ყოველთვის გამოვა მსოფლიო ასპარეზზე გაუტეხავ ეროვნულ სახელმწიფოდ, ვინაიდან მისი მატერიალური და გონებრივი რესსურსები ერთობ დიდძალია და თანაც მას (ველიკორუსეთს) თვისი ტერიტორიის ერთი გოჯაც არ აუტრიალებია მტრის შემოსევით მან მოიცილა ეს უბედურება განაპირა ერების ცეცხლის ცენტრში ჩაგდებით.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ყვე-ლა დიდ სახელმწიფოებმა შესძლ თავის ეროვნულ ტერიტორიის გად ჩენა ომის საშინელებისაგან.

თითქმის ერთად ერთ გამონაკ შეადგენს საფრანგეთი, რომ ეროვნული სულიც კი სისხლის მენტებით გაჟღენთა, გაათეტრეტია, მტრისათვის რომ დაეპირდპირებული და გადაერჩინა თვისი სახესაპროფებრივი (იმავე დროს წმინდებულ შრომელიც) ტერიტორია. ებით.

იმ დროს, როდესაც ცეცხლის ალიც კი არ მიკარებ მანულ მიწაწყალს, როდესაც გ ის არც ერთს ქალაქს, ან არ სოფელს არ უხილავს მძიმე არტ რიის გრგვინვა და ფრანგული ჰაე პლანებიდან მტყორცნავი ყუმბარ სა წვიმა, როდესაც ერთი გერ სახლიც კი არ დანგრეულა ტან ლითო საკაცობრიო ბრძოლის ფრანგის ერი სისხლიდან დრება საფრანგეთის ტერიტორიის ჰიან რესი ადგილები და საუკუნო რის შემოქმედების ნაყოფი, წლის განმავლობაში ზარბაზნები ქა-ქუხილით დაყრუვდა, მისი წყლის ერთი მესამედი ნაწილ ერთი მტკაველი ადგილიც არ რომ საკუთარი თუ მოწინააღმ ძვლებით არ მოკენჭილიყოს. დაინგრა, ამიერიდან ვერდენის რიულ რუინებს, დღესაც სდის წლის ბრძოლით დანთებულ კვამლი.

საფრანგეთს და მის მიწაწყალ ქალაქებს, მის ქარხნებს, მის სო დააწვა ეს ომი მთელის თავისი ძიმით. თვალუწვდენელი ტერიტო აბსოლუტურად ყველა ადგილები ზაზნის ყუმბარებით არის გადათ ლი მთელი სიმდიდრე ფრანგის ე

უკანასკნელი ცნობები

ინგლისური პრესის ცნობით სომხეთის საკითხი საზავო კონფერენციამ უკვე დაასრულა.

რუმინიის პრემიერი საზავო კონფერენციიდან წავიდა, რის მიზეზადაც ასახელებენ იმას, რომ კონფერენცია ბალკანეთის საქმეებში საკმაოდ ვერ გაერკვა.

საბჭოთა ჯარებმა მთელის ფრონტით დენიკინზე შეტევა დაიწყო, აიღო ქალაქები: პროხოროვკა, იუსოპოვკა, მელეცი, ისკროვკა და ყირიმისაკენ ტიჩკისი.

პეტროგრადის მიმართულებით ბოლშევიკები წინ მიიწევენ.

ესტონელთა თეთრგვარდიელებმა რიგა აიღეს.

კანადაში ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარში არეულობა დაიწყო.

საბჭოთა ჯარმა კრასნოფინსკი და ნიკოლაევსკი აიღო.

ბრძოლის ველზე მოექცა და განადგურდა და მისი ქვანახშირიანი ადგილები მაღალი სამეურნეო კულტურით მოფენილი მისი პროვინციები დღეს აღარ არის სრულიად. ომის აზპარეზად ქცეული უმშვენიერესი ნაწილი საფრანგეთისა სრულიად წაშლილია და თითქმის აღარავითარ რეალურ ღირებულებას არ წარმოადგენენ. ეს პროვინციები იყვნენ საფრანგეთის მასაზრდოებელნი, როგორც მატერიალურის, ისე ზნეობრივ-გონებრივი კულტურის მხრით. პარიზის კედლებიც შეინძრა მტრის მიახლოვებით ლამის იყო დაიწვა უდიდესი ცივილიზაციის წყარო, მაგრამ ეროვნულმა ენერგიამ თავიდან აეცილებია ფრანგებს ეს კარზე მიმდგარი სიკვდილის აჩრდილი. ესეც ცოტაა. იმის გარდა, რომ ფრანგის ერის ყველა ნერვები დაწყდა, მთელი სახელმწიფოებრივი არსება ზანზარებდა და უკანასკნელ სუნთქვასაც გამარჯვებას ანაცვალებდა, — არ უნდა დავივიწყოთ რომ საფრანგეთს ამ ომის გამო დიდი საგარეო სესხი აქვს აღებული, რომლის გადახდა არც თუ ისე ადვილი იქნება მისთვის.

გერმანიას კი ერთი გროშიც არა აქვს აღებული სახელმწიფოს გარეთ. მართალია მან დაღუპა [illegible] ღირებული ფლოტი, მაგრამ ეს მაინც არ შეედრება იმ საშინელებას, რომელიც საფრანგეთმა აიტანა.

გამოვიდა ისე, რომ ფიზიკურად და მატერიალურად დამარცხებულ საფრანგეთს, ერთი და ზნეობრივი გამარჯვება რჩებოდა იმედად, რაც დიდი სახელმწიფოსათვის არ წარმოადგენს ისეთ ფეტიშს, რომ ყველაფერი მას შესწიროს.

აი ის ნაყოფი, რომელიც ომიდან დარჩა საფრანგეთს. მას არ დავიწყებია, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არც ომის გრიგალს გაუვლია და არც საგარეო სესხის მძიმე ტვირთი დაწოლია.

თანამედროვე საფრანგეთის პირველმა მოქალაქემ-კლემანსომ ეს ფაქტები გადუშალა საზავო კონგრესზე მთელს კაცობრიობას და ამაში ჰპოვა თავისი სი[illegible] ნაგებ[illegible]ს „სრული გამარჯვება" ის დღეს [illegible] არჯვებას იდღესასწაულებს და ლიბანირის ანიზლაურებას მოელის. მაგ[illegible] იმას არ ნიშნავს, რომ საფრა[illegible] გერმანიის შორის ყველა [illegible] გასწორებულია. ერთიცა [illegible] დღის შემდეგაც იმის [illegible] რომ როგორმე და[illegible] სიორე. ეს საფრთხე დიდს [illegible] მზადებს კაცობრიობას, წინაშე, როგორ[illegible] გონილი კატასტროფა [illegible] ერს შორის მოსება ხორციელდები [illegible] ვერ გააბეს. [illegible] კვაში ხალხთა ლიგას შე[illegible] ექნები როლი [illegible] ითამაშოს და [illegible] რობთ, რომ თუ ეს ომი და [illegible] უკანასკნელი ამოძახილი არ იყო ისეთივე [illegible] კულტურისა, ხალხთა ლიგამ [illegible] შესაძლებლად უნდა გა[illegible] ებს კი ამას ხალხთა ლიგა? დამცირებათა [illegible] ლი, ბრწყინვ[illegible]

ი. ხანანაშვილი.

გულისხმო იყ[illegible] თა გამალად[illegible] ლი შარაჟან[illegible] სეს სახლიდ[illegible] ტის შამისა.

ქ. პარტიის კონფერენცია.

ჰრგებოდა. პარტიის კონფერენცია გატკიცებინა [illegible] კიდევ 2 დღეს. ყოველ ბუმბერაზულებიან ახლად მოსული დეგოლ მწირს. ნებისყოფიერენციამ მოისმინა მოხსენებანი ხელ და სამუშაობის შესახებ, განიხიბულ მიზნისნიზაციო საკითხები და მო ქვრტი გონებზეთის მდგომარეობის შერწმენით განხ[illegible] [illegible]ები, სხდომების ანგარიშე-[illegible] [illegible]ადგენილებანი დაიბეჭდება [illegible]თში, კონფერენციის მუშა[illegible]ავრების შემდეგ.

ჩხენკელის წერილი.

ჩხენკელისგან მიღებული წერილით ჩვენი საკითხები ყველა სოციალისტურ კონგრესებზე და ნეიტრალურ ქვეყნების წრეებში დიდი პატივისცემას იწვევს. ჩხენკელი იწერება რომ დიდი თხოვნის შემდეგ მოახერხა რომ ქართველი ტყვეები გაეგზავნათ გერმანიიდან რუსეთში კი არა არამედ საქართველოში. მათთვის მზადდება სპეციალური გემი, რომელთაც გამოიგზავნება სასოფლო მეურნეობისათვის მრავალი იარაღები.

ქრონიკა

ქალაქის მოსამსახურეთა დელეგატების კრება. 5 ივლისს შესდგა ქალაქის მოსამსახურეთა ახლად არჩეულ დელეგატების ყრილობა, რომელმაც მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა მთავრობას, დამფუძნებელ კრებას და გვარდიას. აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი. აირჩიეს აგრეთვე 6 დელეგატი პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ საბჭოსათვის.

მატარებლის ჩავარდნა. 28 ივნისს ღამის პირველ საათზე რიონიდან აჯამეთისაკენ მომავალი მე 6 № სახალხო მატარებელი ჩავარდნილა. დაზიანებულია ორთქლმავალი და 3 ვაგონი, აგრეთვე გზა 30 საჟ. სიგრძეზე. 2 მგზავრი მსტუბდ დაჭრილან. როგორც ჯერჯერობით გამოირკვა რომ რკინის გზის ლიანდაგი ბოროტ განზრახვით ვილაცას გაუფართოებია.

გამომძიებლად დანიშვნა. რკინის გზის 1-ლ უბნის გამომძიებლათ ი. ქიქოძე დაინიშნა.

ეკონომიური ცხოვრება

აბრეშუმის პარკის შეძენის შესახებ. თანახმად მთავრობის 5 ივლისის დადგენილებისა საქ. რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობა ამით აცხადებს, რომ მთავრობის დადგენილება აბრეშუმის პარკის მთავრობის მიერ შეძენის შესახებ შეეხება მხოლოდ ძველი მოსავლის პარკს; ახალი მოსავლის პარკის შეძენა არ არის აღკრძალული და ყველას შეუძლია მისი ყიდვა გაყიდვა.

ბენზინი საქართველოსთვის. ამ დღეებში აზერბაიჯანიდან დიდძალ ბენზინს მოელიან საქართველოს საჭიროებისათვის. თბილისში ბენზინის ფასმა ძლიერ დაიწია.

ერობები და საქონლის გადატან-გადმოტანა. მთავრობამ აუკრძალა ყველა ერობებს გამოიტანონ რაიმე განსაკუთრებული დადგენილება სურსათის გადატან-გადმოტანის შესახებ და წინადადება მისცა მათ ხელი არ შეუშალონ გვარდიისა და სამხედრო უწყების წარმომადგენლებ ჯარისა და გვარდიის საჭიროებისათვის სურსათ-სანოვაგის თავისუფლად დამზადება-შეძენისა და გადატან-გადმოტანის საქმეში.

სატრანსპორტო საზოგადოებისათვის ქონების გადაცემა. მთავრობის დადგენილებით ის საქონელი რომელიც პირდაპირ წარმოებისთვისაა საჭირო, გადაეცეს სატრანსპორტო საზოგადოებას. პრეისკურანტის ფასების ათჯერ გადიდებით, ხოლო დანარჩენი გადაცემული საქონელი გაიყიდოს სამაზანდო ფასებში იმ პირობით, რომ მთელი აღებული ფული ხელუხლებლივ მოხმარდება მხოლოდ წარმოების გადიდებას, ხოლო სატრანს. საზოგადოებამ აიღოს საქონლის გაყიდვაში 7 პროცენ. საკამოსიონერო ხარჯების დასაფარავათ.

ბოროტ-მოქმედებანი

ინგლის. ჯარის-კაცებ. გიმნაზიელის მოკვლა. 5 ივლისს ღამით პლასტრისა და პლეხანოვის ქუჩის ყურეში ინგლისელმა ჯარისკაცებმა მოჰკლეს გიმნაზიელი ნარსია. მიზეზი ჯ-ა მოურკვეველია. მკვლელები დააპატიმრეს.

ქურდობა. 6 ივლისს საღამოს 7 საათზე გასტეხეს საელექტრონო კონტორა „ენერგია" (ნიკოლოზის ქ. № 3) და წაიღეს 63,000 მანეთი. მილიციამ დაატუსაღა გ. ყაზარიანცი, რომელსაც გატაცებული ფული აღმოაჩნდა.

დაპატიმრება. სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა მ. დეკაზოვი საავიაზიო პარკიდან დინამომანქანის მოპარვისათვის.

სამხატვრო ქრონიკა

ფალიაშვილის ოპერა. ამ მოკლე ხანში გამოცემულ იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი".

საბავშო თეატრი. საზოგადოება „საბავშო თეატრმა" თბილისის სხვა და სხვა თეატრებში რამდენიმე წარმოდგენა გამართა და ამ კვირაში პროვინციებისაკენ მიემგზავრება. პირველ წარმოდგენას გამართავს გორში, შემდეგ ხაშურში, ზესტაფონში, სამტრედიაში და სხვაგან.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი

ქუთაისში ჩამოვიდა იტალიის ორი აფიცერი ჯარისთვის ბინის წინასწარი დასამზადებლათ. მათ მოითხოვეს 1.500 კაცის ბინა, 300 ცხენის, გოსპიტლის და სამხედრო შტაბის.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" ასოთ-ამწყობები 26 ივნისიდან გაფიცული არიან ნამუშევარი ფულის მიუცემლობისა და პირობებზე ხელ-მოუწერლობის გამო და მათი ადგილები ბოიკოტ ქვეშაა გამოცხადებული.

სპეკულიანტური მიზნით სად. ქუთაისიდან ფქვილის გაგზავნა ფართო ხასიათს იღებს. ის ზომები, რომლებიც სადგურის ადმინისტრაციის განკარგულებაშია, სპეკულიაციას არ აჩარცხებს. უფროსის თანაშემწეს კ. პიპინაშვილს სპეკულიანტებმა არსენ თორაძემ და ბ. ჩხეიძემ 550 მან. ქრთამი შეაძლიეს, რათა მას ნება დაერთო 10 ცალი ფქვილის გაგზავნისა. თორაძე და ჩხეიძე გადაეცა მილიციას.

მორიგი ინსინუაცია

გაზეთი „კუბანსკაია მისლში" მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „ჩვენ გვატყობინებენ პარიზიდან, რომ გუშინ 19 ივნის ინგლისის თემთა პალატაში, გარმევორთმა განაცხადა, რომ სახალხო კონფერენციაზედ დასასწრებლათ პარიზში ჩავიდნენ საქართველოს რესპუბლიკის დელეგატები. საქართველოს რესპუბლიკა ცნობილი არ იქნა ინგლისის მთავრობის მიერ. დანარჩენი მოკავშირენი ამ საკითხში იმოქმედებენ შეთანხმებით".

მოხალისეთა არმიის გაზეთი, თითქმის ყოველ დღე ახალ-ახალ სენსაციებს სთხზავს საქართველოს შესახებ და სრულებითაც არ სწითლდება, როდესაც ყოველი მათი „ახალი სენსაცია" ინსინუაციათ ცხადდება. ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ამ შემთხვევაშიაც ასეთს ფაქტთან გვაქვს საქმე, მრავალ სხვა დამარწმუნებელ საქმეთა გარეშე, რომ ყუბანის გაზეთის ცნობა მართალი არ არის, ჩვენ ვიცით ამიერ-კავკასიის ინგლისის სარდლობის ავტორიტეტული განცხადება, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკითხი ჯერ განსახილველად არ დასმულა და მისი ცნობა—არ ცნობის ამბავი, უპირველეს ყოვლისა ეცოდინებოდა ხსენებულ სარდლობას.

ჩერჩილი თვითგამორკვევის შესახებ. გაზ-თ „ედ. როს" დაბეჭდილია შემდეგი ცნობა, რომელიც ხსენებულ გაზეთის სიტყვით გადმობეჭდილია ლონდონის გაზეთ „ტიმეს"-იდან.

ჩერჩილმა, თავის მიმართვაში ამომრჩევლებისადმი, სხვათა შორის განაცხადა: „რა მოუტანა რუსეთს თვითგამორკვევამ? ნუ თუ იგი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ყოველმა „ახლად ჭკუა მოსილმა" კაცმა მიიღოს უფლება კაცობრიობის მთელი ჯგუფის ბედის გადასაწყვეტათ.

თვითგამორკვევა—ერთი იმ უაზრო ტერორთაგანია, რომელიც ბოლშევიკებმა მოიგონეს, რუსეთის ერის თავისუფლებისა და დიდების გალაშქრების პირველ დღეებში.

ქალაქის დებულება

ხვალ დილის 11 საათზე შესდგება შეერთებული სხდომა დამფუძნ. კრების იურიდიულ და თვითმმართველობის კომისიების საქალაქო დებულების პროექტის განსახილველად—საღამოს 6 საათზე შესდგება აგრარულ კომისიის სხდომა.

ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა მობილიზაცია დონის ოლქში.

ნოვოროსისკში სამხედრო და საზღვაო განყოფილებათა უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთა მობილიზაციას აცხადებს. ის ქართველნი რომელნიც დროებით სცხოვრობდნენ დონის ოლქში, თუ ორი კვირის განმავლობაში არ დასტოვებდნენ დონის ოლქს ჯარში გაწვეულ იქნებიან.

ვაჭრობა ინგლისელებთან

საქართველოს ფინანსიურ წრეებში ხმებია, რომ ბოლო ხანებში ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს ფრიად დიდი სავაჭრო საქმე დაუჭერია ინგლისელებთან. პირველად უნდა მზადდებოდეს გასაგზავნად მილიონი ფუთი შავი ქვა რაც მოგვცემს ორ მილიარდ ყანეთს ამ თანხის ანგარიშში ინგლისელებს შემოაქვთ 100.000 ფ სტერლინგი. ამისათვის მოსალოდნელია ჩვენი ვალიუტის ძალიან აწევა.

ბაქოს ბირჟა

„კერენკებს" და „ნიკოლოზის" მსხვილ ფულს გამყიდველნი თხოულობენ წარმოუდგენელ ფასს.

1000 მანეთიანი იყიდება 1400—1800 მ. 250 კერენსკის ფული 1600-მდე ადწევს ყველაზე მეტად გადის 500 მანეთიანები 1300—1400 მანეთად. 100 მან.— 300 მანეთად.

იტალიის ფულის მოთხოვნილება იზრდება. იტალიის ლირა ღირს 20—21 მანეთად.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ნოტა მოკავშირეთა სარდლობას.

გაზ. „აზერბაიჯანის" უკანასკნელ ნომერში (138) მოყვანილია ნოტა, რომელიც გაუგზავნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ჯაფაროვმა ბრიტანიის ჯარების სარდალს.

„აზერბაიჯანის მთავრობამ მიიღო რა ცნობა გენ. კორისაგან 11 ივნისის თარიღით ბრიტანის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ დემარკაციულ ხაზის გავლებაზე მოხალისეთა ლაშქრის და ამიერ-კავკასიის დანარჩენ ნაწილებს შუა, იმედი ჰქონდა დარწმუნებინა, რომ მოხალისეთა ლაშქარი დაემორჩილებოდა მოკავშირეთა გადაწყვეტილებას და გულდამშვიდებული უცდიდა ამ გადაწყვეტილების შესრულებას ე. ი. რომ მოხალისეთა ლაშქრის ნაწილები დაიხევდნენ დერბენტიდან და დაღესტნის სხვა ადგილებიდან იმ საზღვრებამდე, რომელიც ბრიტანიის მთავრობამ უჩვენა. ნამდვილად კი მოხალისეთა ლაშქარის ნაწილებმა არა თუ დასცალეს ტერიტორია ამ ხაზის სამხრეთი, პირიქით, ახლად ჩაიდინეს პირობის დარღვევა, რომელმაც არ შეიძლება ამიერ კავკასიის ყველა ეროვნებაში უკიდურესი სი გულისწყრომა არ გამოიწვიოს და არა სასურველი შედეგი არ მოჰყვეს. სახელდობრ, გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო დეპეშა თემირ-ხაშურიდან ჩვენ წარმომადგენელ ახვერდოვისაგან, როგორც იტყობინება, რომ გენ. ერდელმა წინადადება მისცა მას დაღესტნის მიდამოების დატოვების შესახებ. ვინაიდან თემირ ხანშურა მდებარეობს სამხრეთით, ბრიტანეთის მთავრობის მიერ დადებულ დემარკაციონალურ ხაზიდან, აზერბაიჯანის მთავრობა გენ. ერდელის მოთხოვნილებას რაცხს დარღვევათ, როგორც ბრიტანეთის მთავრობის დადგენილებისას, ისე აზერბაიჯანის რესპუბლიკის უფლებებისას. ამ გარემოებას შესახებ აზერბაიჯანის მთავრობა მოგმართავთ ბრიტანეთის სარდლობას გადაჭრილ პროტესტით ამგვარ დაუშვებელ მოქმედების გამო, რომელიც მოხალისეთა ლაშქრის მიერ არის გამოწვეული და იმედს გამოთქვამს, რომ მისი ჩარევა ამ საქმეში აიძულებს დაბოლოს მოხალისეთა ლაშქრის პატივით მოეპყრას აზერბაიჯანის მთავრობის უფლებებს და ბრიტანეთის სარდლობის დადგენილებებს".

ახალციხის კათოლიკეთა დადგენილება

6 თიბათვეს, რაბათის ქალთა სასწავლებელში მოხდა ქართველ-კათოლიკეთა საერთო კრება: კრებას მოხსენდა თბილისის აღმასრულებელი ქართველ-კათოლიკეთა ცენტრალი კომიტეტის დადგენილება ცენტრალი კომიტეტი აგზავნის ვატიკანში სამ წარმომადგენელს, რომელთაც დაევალება საქართველოს ქართველ-კათოლიკეთა სარწმუნოების ტიბიკონის გაუმჯობესება; სთხოვოს წარმომადგენლებმა რომის პაპს ლათინურ წესზე წირვა ლოცვისთვის, გადმოთარგმნოს ქართულად ტიბიკონი ვინაიდან, მათ არ ესმით უცხო ლათინური ენა და ამასთან სთხოვონ თბილისის ძველი საეპისკოპოსო კათედრა აღადგინონ სასულიერო სემინარიითურთ ეპისკოპოსად, უეჭველად ქართველი იყოს დანიშნული.

რადგანაც სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზე მყოფნი ქართველნი დიდხანია თხოულობენ სომხის უღლიდან განთავისუფლებას და ლათინთა ტიბიკონზე გადასვლას, ამის შესახებაც ეთხოვოს პაპს ლათინზე გადასვლა და ისინიც შეაერთოს თბილის-ქუთაისის და გორის კათოლიკეთან და მათი მთხოვნელებს ქვეშ დარჩნენ.

კრებამ მოისმინა რა ასეთი დადგენილება, დაადგინა: სომხების უღელს ვიშორებთ და ლათინების უღელის ქვეშ ვვარდებით, ეს ორივე უღელი ჩვენ ერთნაირ სიძნელეში გვაგდებს; აქამდის თუ ვთხოულობდით ლათინურს, ძველი რეჟიმის დროს ამ უღლის მოშორებაც არ იქნებოდა. ჩვენი მიზანი იყო, ოღონდ მახრჩობელა სომხებს მოვშორებოდით და ამას ლათინური უღელი ვაჯობინეთ; ახლა, როცა დრონი იცვალნენ, ნება მოგვეცა თავისუფალი აზრები გამოსთქვა ჩვენ მოვითხოვთ პირდაპირ ქართულ-ტიბიკონსა, ქართულ სემინარიით და საეპისკოპოსო კათედრით.

ამ ქართულ ტიბიკონის წინააღმდეგ არიან თბილის-ქუთაისის-გორის ქართველი-კათოლიკები და არ ვიცით რა მოსაზრებით და ბოლოს ასეთი რეზოლუცია გამოიტანა კრებამ: თუ რომი არ დათანხმდა ლათინურიდან ქართულზე გადმოითარგმნოს წირვის რიგი, მხოლოდ მაშინ თხოვონ ვატიკანის ტახტს ქართული ტიბიკონი, როგორც კონსტანტინეპოლს ხარისჭირაშვილს ქართულ მონასტერში სრულდება ეს ტიბიკონი.

ბორჯომის მამულების გარშემო.

ბოლო ხანებში პრესამ ყურადღება მიაქცია უცხოელთა ჯგუფის მიერ ბორჯომის მამულების ექსპლოატაციის პროექტს გაზ. „ნოვი ღენში" დაბეჭდილია ამ ჯგუფის ერთ ერთ წევრის ნ. პერევერზევის საუბარი ამ საკითხზე —ეს ცნობები —სთქვა პერევერზევმა, თითქმის სრულიად შეეფერება იმ პროექტის შინაარსს, რომლის წარდგენაც საქართველოს მთავრობისადმი ამ ჯგუფის მიერ მქონდა დავალებული.

საკითხი ასეა დაყენებული.

მე დავალებული მქონდა გამომერკვია ორი ძირითადი საფუძველი—

1. შეიძლება თუ არა გაიცეს ბორჯომის მამულები იჯარით მის მთელი სიმდიდრით (მიწის წიაღში მყოფი სიმდიდრის მოხმარება).

2. მისაღებია თუ არა იჯარით გაცემის ვადად 60 წელიწადი.

ეს ძირითადი მუხლები იქნება მხოლოდ საფუძვლად, რომლის მიღებას შემდეგ შეიძლება მოხდეს ეს შეთანხმება.

ხომერიკთან მოლაპარაკებაში გამოვარკვიე, რომ შესაძლებელია მოლაპარაკება გაგრძელდეს და სასურველ შედეგებს მივაღწიოთ. არსებითად პირობები მისაღებია, მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანები არ შეგვიძლია შევიღოთ ისე თუ არ გვექნება თანხმობა იმ პირთა, ვისი სახელითაც ეხლა მოლაპარაკებას ვაწარმოებ. ამ საკითხის საჩქაროდ მოგვარებას ხელს უშლის პარიზიდან სიშორე და მასთან კავშირის უქონლობა.

ამ დღეებში მივდივარ და იმედია ამ საქმეს სასურველად დავამთავრებ.

საიჯარო თანხა 32 მილიონი ფრანკი, ოქროდ, სიმართლესთან ახლოს არის.

მართალია აგრეთვე ის ხმები რომლებიც გზების ელექტრონით განათებას, სანატორიის მოწყობას, კლიმატიურ სადგურებისა და ბორჯომ-ბათუმ კონსტანტინოპოლის პირდაპირ მიმოსვლის მოწყობას შეეხება. პროექტში გვაქვს აგრეთვე აბასთუმანის ექსპლოატაცია. ერთი სიტყვით მოსალოდნელ საკურორტო საქმის დიდ სიმაღლეზე აწევა როგორც შვეიცარიაში და გერმანიაში არის. და თუ ჩვენ შევსძლებთ საქმე ასე მოვაწყოთ მაშინ იმ მილიონების ნაწილი აქ წამოვა და აქაური მკვიდრნიც ისევე გამდიდრდებიან როგორც შვეიცარიაში არიან.

ამ საქმეში დაიხარჯება მილიარდები და ეს ქართველ ხალხისაც დიდ სარგებლობას მოუტანს. შვეიცარია ხომ ამით სცხოვრობს.

საქართველოში ამისათვის ნაკლები ნიადაგი არ არის. თუ პოლიტიკური მდგომარეობა მისი კარგი იქნება, აუცილებლად ამ ქვეყანას დიდი მომავალი მოელის.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 1-ს

ინგლისური პრესა.

სომხეთის და დუნის საკითხი.

როგორც ფიქრობენ, ხუთთა საბჭო დღეს დაამთავრებს დუნის და სომხეთის საკითხების განხილვას, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა რაც ირჩევა. ისე რომ მომავალ კვირაში საბჭოს შეუძლია მთელი თავისი ყურადღება ადრიატიკის საკითხს მიაქციოს.

იტალია და ავსტრიის ხელშეკრულება.

იტალიის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ ჯერ მხოლოდ არა ოფიციალური ცნობებია, მაგრამ, როგორც ამბობენ ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის დელეგატებს სურთ საქმის მდგომარეობა გამოირკვეს. იტალიელები მზად არიან შესათანხმებლად. შეთანხმება მალე მოხდება, რათა ავსტრიასთან ზავი რაც შეიძლება ჩქარა შეიკრას. მაშინ კონფერენციას მეტი დრო ექნება ახლო აღმოსავლეთის, ბულგარეთის, ბოლშევიზმის და ოსმალეთის საკითხების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ჩინეთი და ავსტრია.

როგორც იუწყებიან ჩინეთის დელეგატებმა ინსტრუქციები მიიღეს, რომ ავსტრიის ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ.

ზავის დღესასწაული.

ზავის დღესასწაული საფრანგეთმა ისე გადაიხადა, როგორც ეროვნული დღესასწაული. სავაჭროები და ბანკები დაკეტილი იყო, შეთანხმების მოედანზე აუარებელი ხალხი უყურებს ჯარის პარადს და ალტაცებაში მოდის ამერიკელ ჯარისკაცთა მშვენიერ გარეგანობით. ხალხი ალტაცებაშია დროებითი ზავის შეკვრის დღიდან და ქუჩებში, მოედნებზე სიმღერით დადის და ცეკვა-თამაშს მართავს. დღესასწაული გათავდება საოპერო თეატრში ფაუსტის წარმოდგენით. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს სრულიად გაჰქრა ის უკმაყოფილება, რომელიც დროებითი ზავის შეკვრის შემდეგ საგრძნობლად იზრდებოდა ორივე ერის შორის. ეხლა ისინი იგონებენ წარსულ დღეებს და ერთმანეთისადმი პატივისცემას იჩენენ. პარიზის დღევანდელი გაზეთები ამერიკის და საფრანგეთის მეგობრობაზე სწერენ.

საზავო კონფერენციის მუშაობა.

ამ კვირაში საზავო კონფერენციის მუშაობა ნაკლებ ნაყოფიერი იყო, რაც დღესასწაულობით აიხსნება.

რუმინიის პრემიერის წასვლა.

აქ მწუხარებას გამოსთქვამენ რუმინიის პრემიერის წასვლის გამო, რაშიაც ბრალს სდებენ კონფერენციას, რომელიც საკმაოდ არ გაერკვია ბალკანეთის საქმეებშიო.

ჩინეთის მთავრობის ინსტრუქციები.

ჟურნალი „დე-დება" იუწყება, რომ სარწმუნო ცნობებით, საზავო ხელშეკრულების მოწერაზე უარის განცხადების დროს ჩინეთის დელეგატები თავისი მთავრობის ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდნენ.

ფრანგული პრესა

ავსტრიის ახალი ნოტა

ხუთშაბათს დილით ავსტრიის დელეგაციამ ახალი ნოტა გაუგზავნა კონფერენციას. ბ. დიუტასტი მაშინვე გაემგზავრა სენ-ჟერმენში რენნერთან მოსალაპარაკებლად. ზოგიერთ პირობებს, რომელიც მათ წარუდგინეს, შეუსრულებლად მიაჩნიათ და მოითხოვენ სიტყვიერ მოლაპარაკების დაწყებას. ავსტრიელები სჩივიან, რომ ფინანსიურად მძიმე პირობებში იმყოფებიან. ავსტრიაში ნედლი მასალის უქონლობის გამო უმუშევრობა იზრდება. მხოლოდ ვენაში 30,000 უმუშევარია. ავსტრიელების ხელშეკრულებას, როგორც ეტყობა, მომავალ კვირას გადასცემენ. სარედაქციო კომისია ეხლა ხელშეკრულების უკანასკნელ მუხლებს იმუშავებს.

ბანკეტი პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში

პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის ყოფილ მოწაფეთა საზოგადოებამ ხუთშაბათს საღამოთი სადილი გაუმართა ხსენებულ სკოლის მოწაფეებს. საზავო კონფერენციის წევრებს. საზოგადოების თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ილაპარაკა ამერიკა-საფრანგეთის სამხედრო საქმეთა მთავარმა კომისარმა, რომელმაც სთქვა, რომ ხალხთა ლიგა ვერსალის ხელშეკრულების შესავალია, და მისი დანიშნულებაა კონფერენციის მუშაობა განაგრძოსო, და რწმენა გამოსთქვა, რომ შეიქმნება საერთაშორისო ორგანო „ზავის საბჭო", რომელთანაც დაარსდება კანცელარია დადგენილებების შესამოწმებლად.

უკრაინელების შეტევა.

მოსკოვი, ივლისის 6. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

კიევი, ივლისის 5. უკანასკნელი ცნობით, საბჭოთა ჯარმა პოლტავა-კონსტანტინოგრადის ხაზზე სად. ზემო-ლაპნის მიაღწია წითელი ჯარის პოლიტიკის რაზმი სადავო დიანაის დაუახლოვდა. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენ ზოტოროჟიე დავიჭირეთ.

ქ. სკირას გაწმენდა.

კიევი, ივლისის 4. ქ. სკირა საბჭოთა ჯარმა ბრბოებისაგან გასწმინდა.

დენიკინზე შეტევა.

კიევი, ივლისის 4. წითელი ჯარის შეტევა გრძელდება. ბელგორადის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ პროხოროვკა, ხარკოვის მიმართულებით — იუსუპოვკა, ლიუასტონის მიმართულებით სმელიცი, პოლტავის მიმართულებით ისკაროვკა და ყირიმის მიმართულებით — ტიჩკასი.

რატიბორსკის ოლქი.

ლიონი, ივლისის 5. ჩეხიის ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება, რომ სილეზიაში გერმანელები რატიბორსკის ოლქის დასაცველად ემზადებიან. ოლქს ჩეხო სლოვაკებს გადასცემენ. ამ ცნობას ოფიციალურად უარს ყოფენ, თეთრებმა დაიდინო ისევ დაიჭირეს.

„იზვესტია“ დენიკინის შესახებ

მოსკოვი, ივლისი 5. „ვეჩერნია იზვესტია“ მოწინავე წერილში „რა მოაქვს, დენიკინს სწერს: მიწა, რომელსაც დენიკინის ჩექმა მოხვდა, სისხლით და უბედურ მსხვერპლთა ცრემლებით და უბედურებით არის სავსე. დამსჯელი ხელი არავის ინდობს, თვით ლოიალურ ინტელიგენციასაც, იმ ინტელიგენციას, რომელიც თავის მხსნელ კოლჩაკს და დენიკინს უცდის. ეს მხსნელი მოდის, თავისი გზა მან დახვრეტილთა გვამებით მოფინა, დაგიხსნით თქვენ. ჰუჭყიანი ხელით ლოგინის ქვეშიდან გამოგათრევთ გენერლის მძიმე ჩექმა თქვენ სახეს გასთელს. მუშათა და გლეხთა მთავრობაში თქვენ ფართე ასპარეზი მოგცათ კულტურულ მუშაობისათვის, უდიდესი მიზნების მისაღწევად მთელი ქვეყნის თავისუფლების და საერთაშორისო ბედნიერებისათვის. თქვენ მოელოდით მხსნელს რომელიც თქვენ და თქვენს ბავშვებს მომობის უღელს დაადგამს.

ეკატერინოსლავის მცხოვრებლები გლეხები და მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები დენიკინის სამეფოს სტოვებენ და ღამით ფეხით მოდიან ჩრდილო-დასავლეთის საბჭოთა მთავრობისაკენ. აქ, თავისუფალ სამშობლოში ისინი მოელიან გადარჩენას. რუსეთის მუშათა კლასის და გლეხთა წინაშე ასე სდგას საკითხი: ან სიკვდილი ან გამარჯვება. გამარჯვებისათვის მუშებმა და გლეხებმა მთელი ძალა უნდა მოახმარონ მას რომ დაამარცხონ შავი კონტრ-რევოლუცია და გადაარჩინონ თავის თავი და ცოლშვილი მოსალოდნელ ტყვეობიდან.

კრონშტადტი, ივლისის 5. ესტონის მთავარი ბანაკის ცნობა. გუშინ ღამით რიგის მიმართულებით ჩვენ გერმანელებმა შემოგვიტიეს. მოწინააღმდეგის ჯარის კაცები თითქმის ყველა მთვრალები იყვნენ. იერიშები მათ ძვირად დაუჯდათ. დღეს ჩვენმა ჯარმა მთელ ფრონტზე კონტრ-იერიშები დაიწყო.

მოსკოვი. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის სიმაგრე გაარღვია და სად. გოგელი დაიჭირა და რიგის მიმართულებით შეტევას განაგრძობს. წამოვიღეთ ორი ზარბაზანი, ივლისის 1 რიგის მიმართულებით ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა შტინდსა და ვეისალის შუა რაიონი მტრისაგან გასწმინდა. ხელში კიდევ ჩაგვივარდა ზარბაზანი და ტყვიის მფრქვეველები. ღამით ჩვენმა ჯარმა მიულგრადენი დაიჭირა სამკოფთან მოწინააღმდეგე გამაგრებული პოზიციებიდან გავდევნეთ ივლისის 2 ღამით რიგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დვინის შესართავი შიულრაზენის არხთან გასწმიდა და ფირგცანდი დაიჭირა. კურტინ ჰოფ-კირიულთან ბრძოლა გრძელდება მოწინააღმდეგის ოთხი შეიარაღებული ნავი, ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები ჩავიგდეთ ხელში.

იტალიის მეზღვაურთა მოთხოვნა.

რომი. ივლისის 1. იტალიის მეზღვაურებმა მოითხოვეს შესწყვიტონ გემების ტვირთვა იარაღით, რომელიც დენიკინს გაეგზავნება იტალიის მთავრობა იძულებული იყო მოთხოვნილებას დამორჩილებოდა და განაცხადა, რომ გემი რომელიც იარაღით იტვირთებოდა ჩვეულებრივ რეისებისთვის იქნება გამოყენებული და არა თეთრ გვარდიელთა სურსათის და იარაღის დასახმარებლად ამის გამო იტალიის სოციალისტური პარტიის ორგანო „ავანტი“ სწერს: „ის იმას ნიშნავს, რომ არც ერთი იტალიის გემი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსეთის ხალხის გასანადგურებლად.

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიის დაარსება

ადესა, ივლისის 3. ბულგარეთის სოციალისტურ პარტიის ყრილობამ თავისი თავი კომუნისტურ ინტერნაციონალის ნაწილად გამოაცხადა ბულგარეთში. არსებობს კომუნისტური პარტია, ხარლამოვის მეთაურობით.

კიევი. ივლისის 5. ბესარაბიის ფრონტზე მოწინააღმდეგემ სოფ. იაკოვლევოს შემოუტია, მაგრამ უკუ ვაქციეთ.

ალექსანდროვსკის აღება

ადესა. ივლისის 5. ალექსანდროვსკი უბრძოლველად დავსტოვეთ დენიკინელები ორი დღის განმავლობაში ქალაქს მაინც უშენდნენ, ყუმბარები განსაკუთრებით ებრაელთა ღარიბ უბანს ხვდებოდა, იქიდან გამოქცეული კომუნისტები საშინელ სურათს აგვიწერენ მტრის მოწინავე რაზმები მშვიდობიან მცხოვრებლებს სძარცვავენ და ყველას უდანაშაულოდ ხვრეტენ.

მოსკოვი, ივლისის 5. ც. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

სამხედრო ცნობა. აღმოსავლეთის ფრონტი. ჩვენი ჯარის შეტევა გრძელდება. ჩვენ კუნგურის რკინის გზის ხაზის დიდი ნაწილი დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ სურსათი და სამხედრო მასალით დატვირთული სამი მატარებელი. ოხანსკის რაიონში მტრის ორი ათეული დაგვნებდა. პეტერბურგის ფრონტზე ჩვენი შეტევა გრძელდება. განსაკუთრებით წინ მივიწევთ დონეცის მიმართულებით.

მობილიზაცია კურსკში.

კურსკი, ივლისის 5. სულიერი მდგომარეობა აწეულია. გამოცხადდა საერთო მობილიზაცია.

შეტევა ფინებზე.

ლედეინოე პოლე, ივლისის 2. უკანასკნელი შეტევა და ვიდრიცის ქარხნის აღება სამაგალითო სამხედრო გეგმის შესრულებას ნიშნავს. ჩვენებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. თეთრფინების შტაბის წევრნი ისე სწრაფად გაიქცნენ, რომ ჩაცმა ვერც კი მოასწრეს. ყველა ქაღალდები და საბუთები ხელში ჩაგვივარდა.

რიგის აღება.

ბელოოსტროვი, ივლისის 3. ვიბორგის გაზეთები გადმოგვცემენ. რომ ივნისის 28-ს თეთრმა ესტონელებმა რიგა აიღეს. ნედრას მთავრობა ჩამოაგდეს. პულმანიის მთავრობა აღადგინეს.

არეულობა კანადაში.

ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ კანადაში არეულობა დაიწყო ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის კაცებში დაჭრილია 200 კაცი.

გერმანელ მეზღვაურთა დასჯა.

ბაუენი, ივლისის 5. კარნაფონიდან მოსული რადიოს თანახმად, გერმანიის მეზღვაურები, რომლებმაც ფლოტი ჩასძირეს, ინგლისის სამხედრო სასამართლოს კანონით სიკვდილით უნდა დაისაჯონ. ეს არ არის მართალი, როგორც არ უნდა იყოს დროებითი ზავის პირობები, გერმანიის სამხედრო ქონების დალუპვისათვის დამნაშავენი პასუხის მგებელი არიან მხოლოდ გერმანიის მთავრობის წინაშე.

სამხედრო ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. პეტრიზოვის მიმართულებით ჩვენ ტრიაზა დავიჭირეთ. ნარვის მიმართულებით ბალტიის ბოგინის გზისაკენ წინ წაიწია. პსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. კიტის ხაზზე გამოვიდა. მოლოდჩინის მიმართულებით ჩვენ მოლოდიჩნო დავსტოვეთ. ლუნინეცის რაიონში ჩვენ ვალკი დავსტოვეთ. ჟმერინკასთან ჯავშნიანი მატარებლები იბრძვიან.

სამხრეთის ფრონტი. მელიტოპოლის მიმართულებით მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ კონსტანტინოგრადის მიმართულებით სოფ. ლუნაია დავიჭირეთ. ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ნაწილები ქ. ვალსკის ხელში ჩასაგდებად იბრძვიან. ბელგოროდის მიმართულებით ნოვო-ოსკოლის სამხრეთის ბრძოლაა ვორონეჟის მიმართულებით ჩვენ ბობროვი დავიჭირეთ. ბუზულუკის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. უფის მიმართულებით ჩვენ სად. ურალის ხაზზე გამოვედით კრასნოუფის მიმართულებით ჩვენი ჯარზე 5 ვერსით დაუახლოვდა. კუნგურის რაიონში ჩვენ აღმოსავლეთით 30 ვერსი.

უკრაინის ჯარის ცნობა.

კიევი, ივლისის 4. №-ის არმიის შტაბი. რაძივილოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. სტარო-კანსტანტინოვკასთან ჩვენ შეტევაზე გადავედით. ჩვენ სოფ. პისარევკა დავიჭირეთ. ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით მოწინააღმდეგე პრასკუროვს სცლის. კამენეც-პოდოლსკის მიმართულებით სიწყნარეა. ოდესის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგე შეეცადა შეტევა დაიწყო, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ხარკოვის რაიონში, ისკროვკასთან ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე დაამარცხა. კონსტანტინოგრადის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა კარლოვკის რაიონში მტერს პოზიციები დაატოვებინა და კონსტანტინოგრადის მიმართულებით სდევნის.

რუსეთის შინაური ფრონტი.

დენიკინის ფრონტზე. მთელ მაზრაში ჩვენ სასარგებლოდ იცვლება. საბჭოთა ჯარი მდ. ტიფაზე გადავიდა. შეტევა სამ მიმართულებით დაიწყო. პოლტავა ხარკოვის ხაზზე წითელი ჯარი ლიუბოტონისკენ მიიწევს. პოლტავასა და კონსტანტინოგრადის შუა ჩვენ რამოდენიმე სოფ. დავიჭირეთ და მოწინააღმდეგეს სამხრეთისაკენ ვსდევნით. თეთრები უკან დახევის დროს სოფლებს სწვავენ. წითელი ჯარი გაქცეულებს სდევნიან. წითელი ჯარის შეტევა ბოგოდუხოვის მიმართულებით დაიწყო.

წითელი ტერორი.

ელისავეტოგრადი, ივლისის 1. რადგან საბჭოთა მომუშავეებზე თავდასხმა არ შესწყდა, ელისავეტგრადის რევკომ. წითელი ტერორი გამოაცხადა საბჭოთა მთავრობის მტრების წინააღმდეგ.

ავსტრო-უნგრეთის მოქალაქენი რუსეთში.

პეტერბურგი, ივლისის 5. შინაურ თავდაცვის უფროსმა გამოაცხადა, რომ ავსტრია-უნგრეთის ყველა ყოფილ მოქალაქებისა, რომლებიც პეტროგრადსა და მიდამოებში სცხოვრობენ, უნდა ატარონ საბუთები რომ ისინი ავსტრია-უნგრეთის საბჭოში ჩაწერილები არიან.

ფინური პრესა

პეტერბურგი, ივლისის 5. ფინური გაზეთი „სუუსი-სიომი“ სწერს იაგერ მანლანდის რაზმის სარდლობას ბრძანება გასცა, რომ კრასნაია-გორკა ხელახლა აიღონ. ამ ბრძანებიდან არაფერი არ გამოვიდა, ამიტომ რომ ინგერმანლანდელების და რომიანკოს რაზმებს შორის უთანხმოება მოხდა. ფინების ინგერმანლანდელების ოფიცრები ესტლიანდიაში გაჭირვებით გავიდნენ. ნაწილი ჯარისა წინ წავიდა ნაწილი ტყვეებში იმყოფება. ნაუენი ივლის 4. ბერლინში მოსალოდნელ აჯანყების თავიდან ასაცილებლად რამდენიმე დივიზია ბერლინში დაბანაკდა. შეიარაღებული ყარაულები დღე და ღამე დადიან ქუჩებში.

კრასნო უფინსკის და ნიკოლაევსკის აღება.

უფა ივლისის, 5. წითელმა ჯარმა კრასნოუფინსკი აიღო. შეტევა გრძელდება.

სარატოვი, ივლისის 5. ნიკოლაევსკი სვენმა ჯარმა აიღო.

კომისია ზარალის გამოსარკვევად.

ლიონი, ივლისის 3. შესდგა ოფიციალური კომისია სამხედრო ზარალის ანაზღაურებისთვის, იმ ტერიტორიულ საკითხების გამოსარკვევად, რომელიც ბულგარეთს ეხება და გერმანიის თვალყურის სადევნებლად, რომ საზავო ხელშეკრულება შესრულებული იქნეს. კომისიის შემადგენლობაში შედის თითო წარმომადგენელი 5 დიდი სახელმწიფოსაგან.

შანდუნის საკითხი.

ლიონი. ივლისის 2. ჩინელებმა ზავზე ხელის მოწერაზე უარი იმიტომ სთქვეს, რომ ოთხთა საბჭომ არავითარი პირობა არ დაუშვა შანდუნის საკითხის გადაწყვეტაში.

როდოსის კუნძულები.

ლიონი. ივლისის 2. ეგვიპტეში დოდეკანეზის კუნძულების მცხოვრებთა ც. კომიტეტმა ოჯხთა საბჭოს გაუგზავნა დეპეშა, სადაც იმედს გამოსთქვამენ, რომ როდოსს და სხვა კუნძულებს საბერძნეთს შეუერთებენ.

მოსკოვის „საბჭოთა“ მოწოდება.

მოსკოვი. ივლის. 4. მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს სამ. ც. ა. კომიტეტის, სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს და ფაბრიკა—ქარხნების კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ ყველა მუშებს და გლეხებს შემდეგის მოწოდებით მიმართა: „ყაზახები ჩვენსკენ ხიშტებით და მათრახებით მიდიან სწვავენ ჩვენ პურს, აფუჭებენ მინდვრებს, ხოცავენ საუკეთესო მუშებს. უკანასკნელ საშინელ ბრძოლას აწარმოებენ ისინი ჩვენთან. კოლჩაკის მთავრობა და მისი ჯარი წითლებმა თითქმის გაანადგურეს. დენიკინი [illegible], შეიძლება მან კიდევ არ [illegible] მაგრამ გლეხებს და მუშებს აქვთ კიდევ ძალა, რომ [illegible] მტერი დაამარცხონ. წითელმა ჯარმა დაამარცხა კოლჩაკი, ის დაამარცხებს დენიკინსაც.

მტკიცე რწმენით, რომ გამარჯვება დაგვრჩება საბ. ც. ა. კ. მუშათა ორგანიზაციებთან ერთად მოუწოდებს მშრომელ კლასს, იბრძოლონ გამარჯვებისთვის იბრძოლონ პურისთვის, ზავისთვის თავისუფლებისთვის, მთელი ქვეყნის რევოლიუციისთვის და კომუნიზმისთვის. გაუმარჯოს მობილიზაციას, გაუმარჯოს დაზოგველ ბრძოლას და კოლჩაკზე, დენიკინზე და ყველა კონტრ-რევოლიუციონერებზე გამარჯვებას. ამ სხდომაზე ლენინმა სთქვა: „ჩვენი მდგომარეობა ამ ჟამად ბევრად უკეთესი და მტკიცეა ვიდრე შარშან. რამდენად მეტია დენიკინის არმია, იმდენათ ადრე დაიშლება. ეხლა დეზერტირები ბრუნდებიან, ჩვენ მათ რიგში ჩაწერას ვერ ვასწრობთ. აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ საქმეს უკვე ვასრულებთ ამ ახლო მომავალში ჩვენი ძალები ციმბირის აჯანყებულ გლეხობას შეუერთდება. მინიარის ქარხანა უკვე ჩვენ ხელშია, ურალზე გლეხები და მუშები რევოლიუციის დასაცავად ფეხზე დგებიან, გავიმარჯვებთ ჩვენ არა რუსეთის არამედ მთელი ქვეყნის მასტაბში. დენიკინი და კოლჩაკიც, სხვებივით დაისჯებიან.

კიევი. ივლის. 4. უკრაინის საბჭოთა ჯარი გალიციისკენ მიიწევს. ვოლოჩის მიმართულებით მათ რამდენიმე დაბა დაიჭირეს; საბჭოთა ჯარი სამხრეთის ფრონტზე მალე შეტევაზე გადავა. კარპოვში მუშების წინააღმდეგ ტერორია გამეფებული. დღე ნახევარი რეკლამები ფარნების ბოძებზე იყო ჩამოკიდებული: 12 საათის სამუშაო დღე და მიწებზე და ქონებაზე კერძო საკუთრება აღადგინეს. ბურჟუაზია ზეიმობს, ოფიცრებმა პოგონები გაიკეთეს. ეკლესიებში ნიკოლოზს პანაშვიდებს უხდიან. ქალაქში თეთრი ჯარი ცოტაა. გლეხები ბევრ ადგილას მოხალისეთა წითელ რაზმებს ადგენენ, სიამოვნებით მიდიან მობილიზაციაზე და წითელი ჯარისთვის სურსათს ზიდავენ. ყველგან სდგება წითელი ჯარის რაზმები საუკეთესო ძალებს ფრონტზე გზავნიან.

ინგლისელ მუშათა მოთხოვნილება.

ლიონი. ივლის. 4. ინგლისის მუშათა ორგანიზაციებმა 1,600,000 ხმით მოითხოვა საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გაუქმება.

მოსკოვი. ხელში ჩაგვივარდა სურსათით და სამხედრო მასალებით დატვირთული 3 მატარებელი. ოხანსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის ორი რაზმი დაგვნებდა. პერმის ჩრდილოეთ რაიონში მდ. კამაზე ჩვენი ჯარის გადასვლა გრძელდება.

აფხაზეთში.

როცა ახალგაზრდა გმირს ადამიას გმირთათვის საერთო სამარეს აბარებდნენ, მე წარმოვსთქვი შემდეგი შინაარსის სიტყვა:

„ძველი რწმენით ყოველივე მოულოდნელ, სახიფათო და სასაშიშრო მოვლენას „ღვთის რისხვით“ ხსნიდნენ; დღევანდელ დროისათვის, მიუღებელ შეხედულებას არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ ფილოსოფიური საფუძველიც აქვს, სარწმუნოებრივ შეხედულობის შემუშავებაშიც ფილოსოფიური დაკვირვება, აზროვნობა ურევია: შეგნებულ და გონებით განვითარებულ საზოგადოებაში სახიფათო, მოულოდნელი შემთხვევები იშვიათია; მხოლოდ ის საზოგადოება, რომელიც ივიწყებს გონიერებას, საუკუნოებით შექმნილ ტრადიციას, არსებულ წესს და განუსჯელად აჰყვება ცხოვრებაში გამოუცდელ ხელმძღვანელთა მოთხოვნილებას, არ შეიძლება დაუსჯელად გადარჩეს.

საზოგადოების კეთილდღეობა, წინმსვლელობა არ მოხერხდება, თუ ის წარსული ცხოვრების გამოცდილება შეძენილ ტრადიციას არ ემყარება. ადამიანი, რომ კაცობრიობისაგან გამორკვეული საშუალებებით არ სარგებლობდეს, დღესაც მხეცური პირობების გავლენის ქვეშ იქნებოდა. შეიძლება ჩვენში ძველად მეცნიერება და ტეხნიკა ეხლანდელ პირობებთან შედარებით საკმაოდ ვერ იყოს განვითარებული, მაგრამ ცხოვრებისათვის საჭირო სახელმძღვანელო აზრები, დაკვირვებანი და ფილოსოფიურ საფუძველზედ დამყარებული ჩვეულებანი შემუშავებული ჰქონდა ჩვენ ხალხს; ამნაირ ცხოვრებრივ დაკვირვების შედეგი იყო ის, რომ საშიშრო და სახიფათო იარაღების ხმარების შესახებ დიდათ წინდახედული ზომები იყო აღნიშნული; ჯერ ერთი, იარაღის საქმე მხოლოდ გამოცდილ, ჩხუბში და მხედრობაში გამოწვრთნილ დარბაისელ სარდალს, ან მეომარს ებარა; განსაკუთრებით აშორებდნენ, არ აკარებდნენ იარაღს ნორჩ ახალგაზრდობას სანამ ისინი სხვა მრავალნაირ ფიზიკურ სავარჯიშო გაკვეთილებს არ გაივლიდენ, ამას გარდა, იარაღის ტარება, მისი მოხმარა მხოლოდ განსაკუთრებული გამოცდის შემდეგ შეეძლო მეომარს; ეს მოთხოვნილება რაღაც სარწმუნოებრივი შეგნებით ენერგებოდა გონებაში ახალგაზრდობას; დღეს კი ჩვენ ვივიწყებთ, უნიადაგოდ, ახალი პირობების შეუფერებლად ვსთვლით ყოველივე ძველებურ, ათასი წლობით შემუშავებულ, ჩვეულებას: ცოდნას, გამოცდილებას, სწავლას, დაკვირვებას ჩვენ რაღაც გაუგებარი მოსაზრებით, ჯეროვანად არ ვაფასებთ, აი ამის მიზეზია, უმეტეს ნაწილად, ყოველივე ჩვენი გასაჭირი, განსაცდელი, მწუხარება; ამ შემთხვევაშიც, როცა ამდენ საიმედო, უმანკო ახალგაზრდებს გულმოკლული ვეთხოვებით, ჩვენ მწარე გრძნობას ამწვავებს ის მოსაზრება, რომ ჩვენ ყველანი ვართ დანაშაული მათ ასეთ სამძიმო ხვედრში:

დანაშაულია ჩვენი ოჯახი, რომელიც ასცდა თავის პირდაპირ დანიშნულებას: ახალგაზდობის აზრდა-განვითარების საქმეში ის გულ მხურვალე მონაწილეობას ვერ იღებს და მათ ბედს, მათ სათუთ სულიერ თვისებას, უცხო, მათდამი თბილ განწყობილებას მოკლებული, მასწავლებელნი დაჰპატრონებიან; დანაშაულია მთელი ჩვენი საზოგადოება, რომელიც გონივრულ, ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებული პირობების შესაფერ, მზრუნველობა პატრონობას ვერ უწევს. ერთად ერთ ჩვენი ცხოვრებისათვის საიმედო ძალას ახალთაობას. დანაშაულია ინტელიგენცია, რომელიც უცხო ხმას, ჩვენ ცხოვრებასთან შეუფერებელ აზრებს და ჰანგებს აჰყოლია და თავის ქვეყნის, თავის ხალხის განსაკუთრებული თვისება დაუვიწყებია, დანაშაულია ჩვენი სამღვდელოება, რომელსაც ყოველივე სულიერი კავშირი გაუწყვეტია ჩვენებურ ოჯახთან და ყოველივე გავლენა, მნიშვნელობა ჩვენი ცხოვრების განვითარების, კეთილდღეობის მოწყობის საქმეში დაუკარგავს.

დიახ, სწორედ ღვთის რისხვად მოევლინა სოხუმის საზოგადოებას ეს უბედურობა-ეს უმანკო ყმაწვილებთა მსხვერპლი, შეიძლება, ამ სასაშიშრო მოვლენამ ერთი სარგებლობა მოგვიტანოს და გამოაფხიზლოს ჩვენი მიძინებული, გონება დაჩლუნგებული საზოგადოება, ჩარიოს ის საერთო საქმეში და მის საკეთილოდ მოწყობაში მონაწილეობა მიაღებინოს, ვეცადოთ, რომ ამ მწარე გამოცდილების გამო შემდეგში ვარესს განსაცდელს ავსცდეთ. მართველი პარტიის ყველა გამგენი იქ იყვნენ და ისმენდენ ამ სიტყვებს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სიტყვებიც გახდნენ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ცნობის მოყვარე იკითხავს, რა იქნა, სად წავიდნენ ბოლშევიკები? ბევრი მათგანი შეერია სოხუმის საზოგადოებას; ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა სოციალიზმს ისე, როგორც სხვადასხვა მართველობის ფორმას, ადვილად ეჩვევა, —ურიგდება: დღეს მენშევიკია, ხვალ იმავე მოსაზრებით ბოლშევიკად შეიქნება, შემდეგში, თუ საჭიროება მოითხოვს, მონარხისტადაც ადვილად გადიქცევა.

მოთავე ბოლშევიკთაგან ეშბა ოფიცერ ემუხვარის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ მოშორდა სოხუმს. არა იმიტომ, რომ მენშევიკების შეეშინდა, არამედ აბხაზთა მხრივ შურის ძიებას ერიდებოდა; ის და მრავალი სხვები: ლაკობა ჟურუმიძე, კუხალეიშვილები აქტიური ბოლშევიკები გუდაუთის და გაგრის მიდამოებში წავიდნენ ნიადაგის დასამზადებლად: მათ არ სძინავდათ, თავის მიზნისათვის მუშაობდნენ სოხუმში კი არავინ არაფერს არ აკეთებდა; როცა გაისმა ხმა, რომ გაგრაში და გუდაუთში ბოლშევიკთა მოძრაობა და რაზმები მზადდებოდა, სოხუმის ქალაქის საბჭოში ხელახლად შევიტანე განცხადება: „ვითხოვოთ, მივმართოთ მთავრობას, რომ ჯარის რომელიმე ნაწილი მოგვაშველოს, თორემ ჩვენი მდგომარეობა სასაშიშროა. იმ დროს ჩვენ მთავრობას შეეძლო ჩვენი დახმარება. პოლიტიკური მდგომარეობა ისე გასაჭირში არა იყო, როგორც შემდეგ, მაგრამ ჩემისთანა ხმოსნის სიტყვას, როგორც არა სოციალისტის მნიშვნელობა არ ჰქონდა სოხუმის საბჭოში, თუმცა ამავე დროს რუსი კადეტის ბორის ზახაროვის წინადადებას მცხოვრებთა დაბეგვრის შესახებ ადგილობრივ უბანთა დარაჯების რაზმის შესადგენად, დიდის ყურადღებით ისმენდნენ; როგორც საქმის მსვლელობისაგან გაიგებდა მკითხველი, ადგილობრივი რაზმი რამდენჯერაც შეადგინეს, ან ბოლშევიკთა წრეში გადავიდნენ, ან გაჭირვების დროს, პირველსავე საშიშ შემთხვევაში ყველაზედ უწინ გარბოდნენ ქალაქიდგან დასამალად. თებერვლის პირველ რიცხვებში ზოგიერთ პარტიულ წევრთა წინადადებით შეიკრიბა სოხუმში გლეხთა საერთო კრება სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვების გასარჩევად, რიცხვთა შორის აბხაზეთში მართვა-გამგეობის საქმის მოსაწყობად და აგრარული კითხვის გამოსარკვევად. ასეთ რთული კითხვების გადასაწყვეტად არა თუ აბხაზეთში, ყოველგან, სადაც ხალხის უმრავლესობა უფრო შეგნებულია, საჭირო წინასწარი მომზადება სოფლელ მცხოვრებთა; სოხუმის ოლქს კი გამგე-პატრონი, ხელმძღვანელი არ ჰყავდა: მიტია ზახაროვი—ოლქის კომისარი მოკლებული იყო ყოველივე ადმინისტრატიულ ნიჭს და გამოცდილებას, მისი „ჟანრია“ მაღალი ფრაზებით სიტყვების რახა-რუხი—ისეც მხოლოდ ქალაქის მუშათა კრებისათვის დამზადებული გეგმით ათასჯერ ნათქვამი და მოსაწყენი აზრები. სოფლებში კი მხოლოდ ბოლშევიკთა წარმომადგენლებს დაურჩათ თავისუფლათ ბურთი და მოედანი, მათ ხელს უწყობდნენ ქართველობის მოძულე, მოწინააღმდეგე, სასულიერო სკოლების ზედამხედველი—ალფეროვისაგან გაზდილი და მომზადებული მასწავლებელნი და მღვდლები; ამ უკანასკნელთა მონაწილეობით სოხუმელ „ბოლშევიზმს“ ქართველობის საწინააღმდეგო მოძრაობის ხასიათი უფრო მიეცა, ვინემ გაყენებული სოციალიზმის გავრცელების სურვილი; აბხაზთა მოსაბირებელ „ლოზუნგად“ შეიმქნა მათი თვით-გამომრკვევის მოთხოვნილება: „აბხაზეთი აბხაზეთისათვის, დამოუკიდებელი საქართველოსაგან“, ეს აზრი ვრცელდებოდა აბხაზთა სოფლებში დიდის მეცადინეობით, ამ ქადაგებას თანაუგრძნობდა მთელი რუსობა და სომხობა სოხუმის ოლქში; საკმაო ბევრი ფულიც იხარჯებოდა ამ საქმის მოსაწყობად სოფლებში ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სოხუმი და მისი ოლქი მართველი პარტიის გავლენის ქვეშ იყო, ქართველობის ინტერესის დასაცავად არავითარი მეცადინეობა არ ჩანდა. ამნაირ გარემოებაში შეიკრიბა პირველი გლეხთა ყრილობა: აქ გაიყო საზოგადოება ორ ბანაკად: ერთი მოითხოვდა, რომ ყოველივე საქმეები და მათ შორის აგრარული კითხვის გადაწყვეტაც მხოლოდ აბხაზეთის მკვიდრ მცხოვრებ—აბხაზეთის ხელში გადაცემულიყო, მეორე ნაწილი კი სოციალისტების მეთაურობით „ინტერნაციონალურ განწყობილებას უჭერდენ მხარს; ამ წრეში ერიენ ჩვენებური სხვის მამულებზედ გაზვიადებული მადით აღჭურვილი, მოიჯარადრე მეგრელები და ბერძნები, რუსობა და სომხობა ფარულად აბხაზებს უჭერდენ მხარს და დასანახავად კი სოციალისტების წინადადებებს ით. დენ ხმას. ამ კრებაზედ [illegible] დაწყდა კითხვა, რომ, [illegible] დაიწვა და არც შამფურ[illegible] მიენიჭა თითქმის დამოუკ[illegible] მართველობა, აბხაზთა სახალ[illegible] ჰოს გადაეცა მთელი გამგებლო[illegible] თითქმის კანონმდებლობის უფლებისთვის ამავე დროს მოიჯარადრეებს სამვათ საშუალება, რაც მიწები ხანაქვთ, თავიანთ საკუთრებად ჩა[illegible] ლონ; გარეგნულად აბხაზები [illegible] ფილი დარჩნენ და მოიჯარქნებიან მაგრამ არსებითად ორივე [illegible] და არიან: აბხაზებს გამგებლობა ის: 1. რათ უნდათ, თუ მათ მიწა[illegible] 4. მათ დაუკითხავად, მოიჯარ[illegible]კი, წაიღებენ და მოიჯარადრეს [illegible] შეარჩენს უფლებას, თუ მთელი შევაგამგებლობა და საკანონმდებლ[illegible] წესებულება აბხაზთა ხელში [illegible] როცა წავიდენ სოფლად, ეს [illegible] მოება და უხერხულობა [illegible] უფრო გამოირკვა; ეს გარემოებამ უკმაყოფილებას ჰბადებს აბხა[illegible] უმრავლესობაში.

ნიკო თავდგირ

ჩრდილო-კავკასია

ინგლისელთა მისია ოსეთში

თიბათვის 26-ს ინგლისელთა მისიის რამდენიმე წევრი გაემართა ოსების სოფლებში მათი ყოფა-ცხოვრების გასაცნობად. ინგლისელებმა ინახულეს რამდენიმე სოფელი, მაგრამ ნამდვილი შეხვედრა გაუმართეს სოფ. ხუმალადში.

ინგლისელების ჩამოსვლისას მოწვეული იყო სოფლის ყრილობა, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვა ინგლისელთა უფროსმა პოლკ. ხერრისმა შემდეგი სიტყვით მიჰმართა ყრილობას:

„თქვენთან რომ ჩამოვედი ჩემი ყურადღება მიწის ნაყოფიერებამ მიიპყრო. ჩვენ, ინგლისელები, დიდ პატივსა ვცემთ პატარა ერებს, მე ვხედავ, ოსები დიდის პატივისცემით ეპყრობიან ინგლისელებს. ამის მაგალითად არის ყველა ის, რასაც ეხლა აქ ვხედავ. ყველაფერ ამას მე დიდი ბრიტანიის ჯარების სარდლებს გადავსცემ. ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში ინგლისელთა სხვა წარმომადგენლებთან ხელახლად დავბრუნდები, რომ უფრო ახლო გავეცნო კავკასიის თემების ზნეჩვეულებებს და ყოფაცხოვრებას!“

ბოლოს გაიმართა ეროვნულ საკრავებზე ცეკვა.

დენიკინის ულტიმატუმი ინგუშებისადმი.

როგორც ვიცით მოხალისეთა ჯარში დღეს დღეობით შემდგარია ადგილობრივ მთიელთა რაზმები. მათ ცნობებში უკვე იყო მთიელთა „მამაცი შეტევის“ შესახებ ნათქვამია ერთი ორი სიტყვა.

პირველი მოთხოვნილება მთიელთა კავშირისადმი წარდგენილი შეიცავდა იმას რომ მთიელებს განსაზღვრული რიცხვი პოლკებისა უნდა შეედგინათ.

ჩეჩენთა და ოსთა ყრილობაზე გენ. ერდელის თანაშემწე მათ ეუბნებოდა: „თქვენ მევაჟრებით, ყოველ მხედარზე, იმ დროს როდესაც მთიელთა 2 პროც. არ არის მოხალისეთა ჯარში და რუსები კი ქუდზე კაცია გაწვეულიო.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ მთიელთაგან რამდენიმე პოლკი მაინც არის და ჩეჩენთაგან კი ერთი მხედარიც არ არის“.

დენიკინმა ამისათვის ჩეჩნებს ულტიმატუმი წარუდგინა, რაშიაც ეუბნება: „მაჰმადიანთა დღესასწაულ „ორუჯის“ შემოთხე დღეს მზად უნდა იყოს 4 ჩეჩენთა ცხენოსანი პოლკი მთლად შეიარაღებული. ვადა მკათათვის 3-ს გავიდა თუ ჩეჩნები პოლკებს არ შეადგენდნენ მაშინ საჩეჩნოს შეესევა დამსჯელი რაზმი 10.000 ყაზახებისაგან შემდგარი და ძალით მოახდენს მობილიზაციას. მდგომარეობა ისეთია რომ ლია. ნები ძალაუნებურად უნდა დამორჩილდნენ დენიკინის განკარგულებას.

მა მო გადე ნა ჩემ ალი.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სენსაციური პროცესი

ლიბა არიზის სამხედრო სასამართლოში შტო ირჩა საყურადღებო საქმე სენატორ რავან რის, პიერ ლენუარის, გილომ დეფის სა ის და კაპიტან ლადუსის. მათ ეს უბ იბოდათ, ვითომც გერმანული რომლის საყ მოუწყვიათ გავრცელება სამეფოს დ ა, რაშიც მხოლოდ გერმამორჩილებინა ესის დამცველი წერიწინაშე, როგორც დაბეჭდილი. ამ საქსულიერმა ბუნება ქოფილა პიერ ლენუასება ხორციელი კ გილომ დეზუშის საბული და მსწ მოლაპარაკებას აწარმოებ- მაშინ ექლ ერიაში მყოფ გერმანელ ბული იყო ს ი. რაც შეეხება სენატის ლი, უკვე ბაქრს, მას ბრალდება როისეთივე ამ ხედრო სექციის უფროსის გორც თვი იბერის როლი ამ საქმეში გაქველობით ელია. დამცირებათ ლი, ბრწყინვალ უ გაამართლეს. სასაპარგულისხმო იყო, უარს მიუსაჯა სიკვდითა გამალაღებ, დეზუშს, როგორც დამლი შარავანდე ლით ციხე, ხოლო ემბერი სეს სახლიდან ტის შამისა.

კის ახალი ლაშქარი

ჰრგებოდა როიტერის სააგენტო იტყობიტკიცებინა თ წარსულ კვირას ნიუიორკში ბუმბერაზულიეიდევ ახალი ლაშქარი, როგოლ მწირს ს ერ-ჯეროზით ჩაეწერა 5,129 ნებისყოფით, ჯუგად ახალი ლაშქრის სახელ და სამუ ხვი ამერიკაში 47,000 ბულ მიზნისად ჰვრ ტი გონებით რწმენით განეა

იარაღი რუსეთისათვის

ს გაზ. „ჟიზნი“ იტყობინე- იტანეთის სამხედრო სამი- ობით, ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რუსეთში გამოიგზავნა 500,000 ახალი სისტემის თოფი და ნახევარი მილიარდი ტყვია.

როსტოვ-ვლადივასტოკი

როსტოვიდგან ვლადივასტოკამდე ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი გაიბა.

მანჯურიის ტყეების გადასვლა იაპონიის ხელში

იმის შემდეგ რაც ჩინეთმა იაპონიას დაუგირავა მანჯურიის ტყეები თითქმის ყველა იაპონიას ვალში დარჩა. ჩინელები უფრო ხელსაყრელად სთვლიან რომ ეს ტყეები გაჰყიდონ ვიდრე თავისი ძალღონით დაამუშაონ. იაპონელები კონცესიებში დიდ ფულს იხდიან.

ინგლისური პრესა შავ ზღვაზე ვაჭრობის შესახებ

„მორნინგ პოსტი“ (აპრილის 12) სწერს, რომ ოდესის დაცემის შემდეგ ჩვენ კიდევ დაგვრჩა შავ ზღვაზე ისეთი პორტები რომლებიც ოდესაზე უკეთესია. ოდესას თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს მაგრამ საქონელი მასში ნაკლებ ვრცელდება ვიდრე ნოვოროსიისკ-ტუაპსე, ფოთ-ბათუმში, განსაკუთრებით ნოვოროსიისკში, საიდანაც იკვებება დენიკინის სფეროში მყოფი მოსახლეობაო.

მოხალისეთა ბანაკში

ბაქოს რუსთა ეროვნულ საბჭოთა დელეგაცია დენიკინთან.

ბაქოს „რუს სოვეტის“ დელეგაცია იმის შემდეგ, რაც მოხსენება წარუდგინა სრულიად რუსეთის ეროვნულ საბჭოს, წარუდგა გენ. დენიკინსაც და დიდხანს ესაუბრა. დელეგაციას მეთაურობდა მ. პოდშიბიაკინი. საუბარს დაესწრენ გენ. ბარათოვი, რომელიც მოხალისეთაგან დანიშნულია მოხალისეთა წარმომადგენლად ინგლისელთა კავკასიის სარდლობის წინაშე. პოდშიბიაკინი მიესალმა ბაქოს მოსახლეობის სახელით და მოახსენა, რომ ბაქოს რუსობა მთლიანად იზიარებს დიდი რუსეთისათვის მებრძოლ დენიკინის მიმართულებასა — ამის შემდეგ საათნახევრის განმავლობაში აზერბაიჯანის საქმეებზე ისაუბრეს. გენ. დენიკინმა დიდი ყურადღება მიაპყრა აზერბაიჯანის ყოველ წვრილმანს. მან განცვიფრება გამოსთქვა იმაზე, რომ აზერბაიჯანი ასე არის აღელვებული მოხალისეთა ჯარზე. „მე ხომ ვწერდი მათ, რომ დაღესტნის სამხრეთ სამზღვარს ჩვენი ნაწილები არ გადავლენ; მეტი რაღა უნდათ. ჩვენი უმთავრესი მიზანია ბოლშევიკებთან ბრძოლა; სხვა საკითხები მშვიდობიანად შეიძლება მოგვარდეს. ამას თვით ეკონომიური აუცილებლობა გვიკარნახებსო. „რუსეთი უბაქოოდ არ მოინდომებს დარჩეს და ბაქო კიდევ ურუსეთოდ ვერ იხეირებს“, მრავალი კითხვები მისცა დელეგატებს დენიკინმა მუღანზე, ყარაბაღზე, აზერბაიჯანის ეროვნებათა ურთიერთობაზე, ნავთის წარმოებაზე და სხვა.

ყირიმი და ოდესა.

ბაქოში ჩამოვიდა აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი უკრაინაში მ. ვეზიროვი, რომელიც ჯერ „დენიკინის“ სფეროში იყო და შემდეგ როცა მათ დაიხიეს ბოლშევიკთა მფლობელობაში მოექცა. გაზ. „აზერბაიჯანში“ მოთავსებულია მისი საუბარი, საიდანაც შეიძლება წარმოვიდგინოთ წესი დ რეჟიმი მოხალისეთა სამფლობელოში. რა წამს ფეხი დასდგეს მოხალისეებმა ყირიმის მიწა-წყალზე, მაშინვე გამოიჩინეს მცირე ერთა შევიწროების ტენდენციები. უბრძანეს, რომ დაუყონებლივ დაეცალათ მათი ჯარისათვის მაჰმადიანთა პარლამენტი, დაცინვით და უზრდელად ექცეოდნენ პარლამენტის წევრებს და მაჰმადიანთა დირექტორიის მოხელეებს. მთელი ძალა უფლება გადავიდა რეაქციულ სოლომონ ყირიმ-გარდის მთავრობის ხელში. შემოსვლისთანავე მოხალისეებმა გამოაცხადეს მობილიზაცია, მაგრამ მობილიზაცია მეტად მკრთალად ჩატარდა, გამოცხადდა მხოლოდ რამდენიმე ბეგი. რომ ერთგვარი მორალური გავლენა მოეხდინათ, მოაწყვეს ყრილობა „კეთილ საიმედო პირთა“ (როგორც ბრძანებაში იყო ნათქვამი) მაგრამ ყრილობამ მაინც ვერა გააწყო რადგან მაჰმადიანები ისევ არ მიდიოდნენ ჯარში.

მუშებსაც არ ედგათ კარგი დღე, მოხალისეებმა მათ დახურეს პროფესიულ კავშირის ორგანო „ნაშა გაზეტა“. ასეთმა შევიწროვებამ ძალიან იმოქმედა მოსახლეობაზე და მათ ბოიკოტი გამოუცხადეს სოლომონ ყირიმის კაბინეთს. აღსანიშნავია, რომ არც ერთმა მაჰმადიანმა არ ინდომა ამ კაბინეტში მინისტრობა.

სამაგიეროდ ოდესაში მდგომარეობა სულ სხვა ნაირი იყო. იქ მუშათა რბევა და სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მოხალისეთა მოწინააღმდეგებს თავისივე სახლებში ხოცავდენ და მეორე დღეს „უცაბედ მკვლელობას“ არქმევდნენ ამ ბოროტმოქმედებას.

იმისთვის რომ ხალხი თავდავიწყებას მისცემოდა, რომ მას კრიტიკული აზროვნების უნარი წართმეოდა, ამისთვის გახსნეს დიდძალი კლუბები და შანტანები, და სადაც გაჩაღებული იყო ყომარი და ბანქო. მოგება წაგება ასეთ დაწესებულებაში შვიდ ნიშნიან რიცხვსაც კი აღწევდა. თუ როგორი ფული ტრიალებდა იქიდანაც სჩანს ერთ ერთ ასეთ დაწესებულებას „მსახიობთა სახლს“ ღამეში 100.000 მანეთი წმინდა შემოსავალი ჰქონდა.

მოხალისეთა ბატონობის დროს ოდესა პურისა და შეშის ნაკლებულებას განიცდიდა.

მათი ბატონობის დროს ოდესაში პოლიტიკურ ჯგუფთა შორის დიდი კამათი იყო სამხრეთ რუსეთის ძალაუფლებას შექმნის გამო. მემარჯვენენი შულგინის მეთაურობით („კიევლიანინ“-ის ყოფილი რედაქტორი) მოითხოვდნენ სამხედრო დიქტატურას, დენიკინის მეთაურობით. ხოლო ზომიერი წრეები ჰფიქრობდნენ კოალიციურ მთავრობის შედგენას. ბოლო ხანებში მოხალისეებმა აკრძალეს უკრაინულ ენაზე სკოლებში მეცადინეობა“.

როდესაც ოდესა მოკავშირეებმა აიღეს კავკასიის ერთა წარმომადგენელნი უნდა საქართველოს გემით წამოსულიყვნენ ბათუმში, მაგრამ გემისთვის ნახშირის უქონლობით იძულებულნი იყვნენ დარჩენილიყვნენ.

მეურნეობა ქიზიყში

მევენახეობა.

ვენახების სივრცე ქიზიყში უდრის 8,291 დეს. ბოლო ხანებში ახლად გაშენება ვენახებისა ენერგიულად სწარმოებდა.

ღვინის მოსავალი საერთოდ, მთელი მაზრისათვის ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, თუმცა ალაგ-ალაგ ვენახები კარგ მოსავალსაც იძლეოდა. ღვინის მოსავლის დამახასიათებელი ნიშანი ბაზარზე უდრის 2,5; საშუალოს უახლოვდება მოსავალი გურჯაანის რაიონში; ლაგოდეხის რაიონი და სიღნაღის მიდამოები არ არის დიდი ყურადღების ღირსი, იმდენად მცირე ალაგი უჭირავს აქ ვენახებს.

მიზეზთაგან, რომელნიც უარყოფილად მოქმედებდნენ ღვინის მოსავალზე, აღსანიშნავია უპირველესად ყოვლისა გვალვა: შაბიაბან-გოგირდის უშოვნელობამ და სიმცირემ შესამჩნევი გავლენა იქონია ვენახებზე. მაჩხაანის რაიონში და სიღნაღის გარშემო მდებარე სოფლებში სეტყვამ გაანახევრა მოსავალი. ვაზის ავადმყოფობიდან აღსანიშნავია ნაცარი (ოიდიუმი), რომელიც ყველა კუთხეებში ემჩნეოდა და ნაწილობრივ წითელა (მიკოზა) მხოლოდ მაჩხაანის არეში.

შედარებით კარგი გამოსავალი ჰქონდა ვენახებს, როგორც ყოველთვის, გურჯაანში, სადაც განვითარებულია ვაზის კულტურა და რომლის ღვინოს პირველი ალაგი უჭირავს ღირსებით არა მარტო სიღნაღის მაზრაში, არამედ მთელ საქართველოშიც. დესეტინა ვენახი იძლეოდა ღვინოს საშუალოთ, 300 ვედრომდე; ხშირად იყო ვენახები საიდანაც გამოსავალი აღემატებოდა 500 ვედროსაც. გურჯაანის მხარემ 1918 წ. მოგვცა დაახლოვებით არა ნაკლებ 1,203 ვედრო ღვინო. მეორე ალაგი უჭირავს მაჩხაანის მხარეს, სადაც სეტყვის გამო ღვინის გამოსავალი ვერ იყო დამაკმაყოფილებელი; ამ კუთხემ მოგვცა ღვინო არა ნაკლებ 220 ათასი ვედ. რაც შეეხება უკანამხარს იგი არ არის ღვინის ადგილი, თუმცა ვენახების რაოდენობით მესამე ალაგი უჭირავს მაზრაში, მაგრამ მთაგორიან მდებარეობის გამო ვერ იძლევა კარგ ღირსების ღვინოს. მთელ მაზრას 1918 წელს დაახლოვებით მოუცია ღვინო არა ნაკლებ 1,5 მილ. ვედრისა.

მეხილეობა.

მეხილეობის შესახებ ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება, რადგან ხილის ბაღები, შეიძლება ითქვას, რომ სიღნაღის მაზრაში სრულებით არ არის, თითო-ოროლა ძირი გაფანტულია ვენახებსა და ბოსტნებში და უმთავრესად კი სამოსახლო ალაგის — კარმიდამოს დამამშვენებელ საგანს წარმოადგენს. ცოტა რამ გამონაკლისს შეადგენს გაღმა მხარე, რომელიც წარმოადგენს—ზაქათალის ოლქის გაგრძელებას. ბოლოს მაინც ერთად რომ შევკეცოთ აქა-იქ გაფანტული ხეხილები, სავარგისი მიწის საერთო რაოდენობასთან შედარებით, ხეხილის ბაღები დაიჭერს არა უმეტეს 0,05 ნაწილს.

მეთამბაქოობა.

უკანასკნელ წლებში ხალისით ეკიდებოდნენ ჩვენს მაზრაში თამბაქოს მოყვანას; მის პლანტაციებს დიდი ალაგი ეჭირათ ქიზიყში და გაღმა მხარეში და ყოველ წლიური მოსავალი თამბაქოსი ხშირათ აღწევდა ნახ. მილ. ფუთს; მაგრამ 1918 წ. თამბაქო უეცრად განიდევნა ჩვენი მაზრის სასოფლო მეურნეობიდან; მისი ალაგი დაიჭირა პურმა და საზოგადოდ სპურე მცენარეებმა. ორი მიზეზი იყო უმთავრესად, რომელმაც გამოიწვიეს ასეთი ცვლილება: სასურსათო კრიზისმა და შიმშილის არჩილმა აიძულა ხალხი თამბაქო პურით შეეცვალა, ხოლო გარეშე ბაზრის დახურვამ, რის გამო ეხლაც დიდძალი ძველი თამბაქოა დაბანდებული, ერთგვარი უიმედობა დაჰბადა ხალხში და დაუკარგა მას ხალისი.

სულ უმნიშვნელოა, ჩვენი ცნობებით, რაოდენობა თამბაქოთი დათესილ მიწებისა: რაღაც 179 დესეტ. თამბაქო იყო მაზრაში 1918 წ. მოსავალი დამაკმაყოფილებელია; ლაგოდეხის რაიონში საშუალოზე მეტიც არის და კარგს უახლოვდება. ამ 179 დესეტინას უნდა მოეცა გამხმარ-გამზადებულ თამბაქოს ფოთოლი არა ნაკლებ 12,3 ათასი ფუთისა.

მესაქონლეობა.

უფრო მეტის სიფრთხილით არის შეკრებილი ცნობები ოთხფეხი საქონლის რაოდენობის შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაშიაც იმავე მეთოდს ვხმარობდით, როგორსაც დანარჩენ შემთხვევებში, მაგრამ წყაროები, საიდანაც ცნობები იკრიბებოდა, უფრო სანდო იყო (ეს არის სოფლის კანცელარიის სიები, რომლის მიხედვითაც გააწერენ ხოლმე ხარჯებს მცხოვრებთა შორის). მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ჩვენი ცნობები ვერ იქნება უნაკლო და ზედმიწევნითი, მაგრამ სინამდვილესთან კი მაინც დაახლოვებულია. როდესაც ჩვენი ცნობები შევადარეთ 1913 წლის ოფიციალურ ცნობებს, აღმოჩნდა, რომ საქონლის რაოდენობა უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში შემცირებულა დაახლოვებით 52 პროც. რაც ადვილი ასახსნელია თანამედროვე პირობების წყალობით. საერთაშორისო ომმა და მისგან შექმნილმა პირობებმა ყველაზე მეტი ზარალი სასოფლო მეურნეობის სწორეთ ამ დარგს—მესაქონლეობას, მიაყენა ხშირი რეკვიზიცია საქონლისა, ოჯახის მარჩენალთა ომში გაწვევის გამო მეურნეობის განადგურება: როდესაც მეპატრონენი იძულებულნი იყვნენ გაეყიდნათ, ან როგორმე მოეშორებინათ თავიდან საქონელი, რომელსაც მოვლელი პატრონი აღარ რჩებოდა (ამისთანა შემთხვევები ხშირი იყო ჩვენს მაზრაში), შემდეგ ხშირი ეპიზოოტია, უკანასკნელად გახშირებული ტაციობა-ყაჩაღობა და სხვა, ომით გამოწვეული მიზეზები გამანადგურებლად მოქმედებდნენ მესაქონლეობაზე და საკვირველი აღარ იქნება ამის შემდეგ, რომ საქონელი შემცირებულიყო ერთი-ორად. რაც უფრო საყურადღებოა, დანაკლისი საქონლისა ისე ნაწილდება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო: ყველაზე მეტი დაუკლია ცხენს (66 პროც.), შემდეგ საკლავ საქონელს—ცხვარს (55 პროც.) და ძროხას (52 პროც.) ნაკლები ზარალი მოსვლია კამეჩს (24 პროც.), რომელსაც მართლაც რომ არც რეკვიზიცია ეხებოდა, არც პირველ საჭიროების საკლავს წარმოადგენს და ვერც ეპიზოოტია ერევა ისე ადვილად. სამაგიეროდ, მეღორეობას ამ ხნის განმავლობაში უფრო ნიადაგი მოუპოვებია: უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ღორის რიცხვი მაზრაში გაზრდილა 10 პროც. რაც იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ღორის მოვლა-მოშენება უფრო საადვილოა, ვიდრე შედარებით ისეთ სათუთ ცხოველისა, როგორიც არის ცხვარი; ამასთან ღორი სწრაფად მრავლდება და შემოსავალსაც მეტს იძლევა.

საქონლის ჭირი მოდებული იყო უფრო გურჯაანის, ქოდალოსა და მაჩხაანის რაიონებში; უმთავრესად ემჩნეოდა ყარაფაფახი (ჩუმა), თითქმის ყველგან, შემდეგ თურქული და ნაწილობრივ, მაჩხაანის რაიონში, ჭუჭუნა (?). კორესპონდენტების ჩვენებით, თუ გაზვიადებული არ არის, საქონლის ზარალი ადიოდა 14—29 პროცენტამდე.

აი ის ელემენტარული ცნობები სასოფლო მეურნეობიდან, რომლის შეკრება-დამუშავება შევსძელით. ამ ქამად უნდა დავკმაყოფილდეთ ამ მცირე მასალით, ხოლო შემდეგში კი იმედია, სისტემატიურად გვექნება უფრო ფართე და ყოველმხრივი გამოკვლევანი ხსენებულ დარგიდან.

მ. ყოჩიაშვილი.

ბრძანება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა

სახაზინო რკინის გზათა უფროსს და კახეთის რკინის გზის მმართველს.

ვაცხადებ ჩემდამი რწმუნებულ დეპარტამენტის ქვემდებარე სამართველოების. უკანასკნელთა ნაწილებისა და განყოფილებათა უფროსების საყურადღებოდ, რომ რესპუბლიკის მთავრობის ა/წ 25 მარტის დადგენილებით აკრძალული იყო როგორც კერძო პირებისა, ისე საზოგადო დაწესებულებათათვის მიღება და გაგზავნა სიმინდის ტვირთისა სად. ზესტაფონიდან ფოთსა და ნატანებამდე. ეს აკრძალვა არ შეეხებოდა სხვა ხორბლეულის მიმოზიდვა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში და გულისხმობდა მხოლოდ სიმინდის ტვირთს, რომლის თავისუფალ გაზიდვის შეზღუდვას ზესტაფონ-ფოთ-ნატანებისა და საერთოდ ქუთაისის გუბერნიიდან მოითხოვდა ამ დარგში გამეფებულ ბოროტ-მოქმედების აღმოფხვრის საჭიროება. მთავრობის 10 ივნისის დადგენილებით ეს აკრძალვა მოიხსნა და ნება მიეცა აღნიშნულ სადგურებიდან სიმინდის მიღება-გაგზავნასა საკუთარ მისამართით მხოლოდ ერობებს, ქალაქთა თვითმართველობებსა და მათ კავშირს, დანარჩენ შემთხვევაში კი ისევ ძალაში რჩება ძველი დადგენილება ე. ი. კერძო პირთ ნება ეძლევათ სამგზავრო ბილეთის წარდგენისა და ტვირთის ბარგის წესით წამოღების აუცილებელ პირობის დაცვით თან იქონიონ მგზავრობის დროს არა უმეტეს ხუთ ფუთ სიმინდისა, რომლის სხვა წესით ე. ი. ნელი სისწრაფით გაგზავნ-გამოგზავნა დაუშვებელია.

წინადადებას გაძლევთ განუმარტოთ თქვენდამი რწმუნებულ ნაწილებისა და განყოფილებათა მოხელეებს, რომ ა) სიმინდის თავისუფალი გამოზიდვა კერძო პირთათვის ზესტაფონ-ფოთ-ნატანებისა და მთლად ქუთაისის გუბერნიიდან, გარდა მოხსენებულ ხუთ ფუთისა, აკრძალულია, ბ) ეს შეზღუდვა არ ეხება ერობებს, ქალაქთა თვითმართველობებს და მათ კავშირებს, რომლებსაც საკუთარ მისამართით შეუძლიათ აღნიშნულ ტვირთის მიღება და გაგზავნა, გ) ხუთ ფუთის ნორმით და სავალდებულო წესების დაცვით კერძო პირებს ნება ეძლევათ სიმინდის ტვირთის გამოზიდვისა აღნიშნულ რაიონიდან, ხოლო სიმინდის მიმოზიდვის მხრივ სრული თავისუფლება არსებობს საქართველოს დანარჩენ კუთხეებისათვის და დ) ზემოხსენებული აკრძალვა და შეზღუდვა სრულიად არ შეეხება სიმინდის გარდა სხვა ხორბლეულობის მიმოზიდვას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი
ბესარიონ ჭიჭინაძე.

მილიციაში

მილიციის უფროსის ბ. სულაქველიძის მიერ მკათათვის 2-ს გამოქვეყნებულია შემდეგი ბრძანება: „ზოგი კომისარი, როგორც გავიგე, უფროს და უმცროსს მილიციონერებს უკანონოდ ანიჭებს ფართო უფლებებს, სახელდობრ ბოროტ-მოქმედებათა დაჭერაში და დაჭერილებთან მოპყრობაში. მილიციონერები თავის ნებით იჭერენ დამნაშავეს, ანთავისუფლებენ და ნებას აძლევენ დაჭერილებს კომისარიატიდან წასვლისას. ამგვარ საქციელის შემდეგ ადგილი შესაძლებელია ალაგი ექნეს ბოროტგანზრახვას და შეპყრობილთა გაპარვას, რაც მოხდა მე-9 კომისარიატში, სადაც უფროს მილიციონერმა ნება დართო დაჭერილს სასაუზმოდ შინ წასულიყო დარაჯის გაუყოლებლივ, რის შემდეგ დაჭერილი კომისარიატში აღარ გამოცხადებულა. ვაფრთხილებ, რომ ამგვარ საქციელისათვის მილიციონერები მიიცემიან პასუხისგებაში, კომისრები კი თანამდებობიდან დათხოვნილი იქნებიან.“

—

მილიციის უფროსი სულაქველიძე, 2 მკათათვის ბრძანებაში წინადადებას აძლევს თავის თანაშემწეებს და კომისრებს, რათა მათ მიაქციონ ყურადღება ქალაქში უსაქმოთ მოხეტიალე პირებს, რომელნიც ამ ბოლო ხანებში ბლომად იმყოფებიან ქალაქში.

საქ. რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციისთვის

შინაგან სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის უფროსის მიერ დატყვევებულნი არიან და № 1 საპყრობილეში გაგზავნეს ეგ. მ. ვენეცკოვსკი, ალ. ი. შავერდოვი, გრ. ზ. პარკაძე, გრ. დ. ხარაძე, ელეფ. ა. ცინცაძე, სოფიო ა. ტროიცკაია, პილხაზ ა. პოლიუსუკი, ნატალია რომანენკო, ასატურ სტ. კახოიანი, ლევან არ. შავერდოვი, ლეონ ვ. იაგუბიანი, გალ. ნუცუბიძე, კირ ოდილავაძე, აკ. ურუშაძე, ევფ. გ. ხუბუკელაშვილი, გრ. გ. კოლიტაევი, არუთუნ გ. აკოფოვი, ანადი რ. ვებეროვი, ევგენი ს. რაბინოვიჩი, სტეფ. ქ. ვარდანიანი, მუშელ ალაიანი, დიმ. ვ. სტეფანოვი, არამ ო. არუთუნიანი, ენოქ ბ. მიკირტუმიანი და ავეტის ბ. თაიროვი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციისთვის.

დატუსაღებულია აგრეთვე № 1 საპყრობილეში დიმ. ი. ბაგრატოვი, რომელმაც თბილისის საგუბერნიო ხაზინიდან განიზრახა 1.800 მ. ყალბი საბუთებით გატანა.

ფრონტის დღე

მოეწყობა შაბათს 19 და კვირას 20 მკათათვეს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დღე უნდა შეეფერებოდეს დიად მიზანს: ჩვენი დამოუკიდებლობისა და რევოლუციის შეუპოვარ მებრძოლთადმი, ფრონტზე მეომართადმი დახმარებისა და ალერსის გამონახვას. ვისაც სწამს, რომ ამა დიადი მიზნის განხორციელებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ვისაც სავალდებულოდ მიაჩნია ამ ღირსშესანიშნავ დღის შესაფერისად მოწყობა—ყველა კერძო და საზოგადო დაწესებულებათა, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, ყველა ორგანიზაციებმა და კერძო პირთა ამ საქმისადმი თანაგრძნობა უნდა გამოხატონ მით, რომ თავის წარმომადგენელნი უნდა გაგზავნოს შაბათს 5 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სასახლეში, ოთახი № № 13 და 14, საგანგებოთ გამართულ კრებაზე, სადაც გამოიმუშავდება პროგრამა ამ დღისთვის და გაწესრიგებული იქნება მისი განხორციელება. დამტკიცეთ, რომ თქვენ მხარს უჭერთ ამ დღის მოწყობას და გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლოს ამ საქმისადმი ხელის მოწერა.

პატივისცემით ფრონტის დღის მომწყობი საორგანიზაციო **კომიტეტი.**

იბეჭდება:

თაგუნა

წიგნი 1.

შენობა ცარიელი

დროებით თუთუნის ქარხნისათვის მსურს დავიქირავო მდებარეობა. არაა სათაკილო გობოვთ მომმართოთ წერილობით დღეიდან 1-ს მარიამობისთვემდე. თბილისი, ფოსტის ყუთი № 162. 2—2514

იყიდება

პატარა სახლი—შეიძლება თავის სამი ოთახის მოწყობილობით. ნათლული კუტილოვის ქუჩა № 11—5—7 საათ. ყოველდღე. (1—2502)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექის გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და . სევალის ქროკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძე

[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.